მარიკა ჩიკვაიძე
ლია ანთიძე, ლალი იაშვილი

მუსიკა

II კლასი

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი 2023

მარიკა ჩიკვაიძე, ლია ანთიძე, ლალი იაშვილი

მუსიკა II

მასწავლებლის წიგნი

I გამოცემა, 2023

რედაქტორი
მაია იანტბელიძე

დამკაბადონებელი
ლიკა სხირტლაძე

გამოყენებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რესურსი

ISBN 978-9941-31-633-3

© მარიკა ჩიკვაიძე, ლია ანთიძე, ლალი იაშვილი, 2023.
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2023.

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №5
225-05-22, 291-22-83, 5(99) 55-66-54
ფაქსი: 225-05-22
ელფოსტა: info@intelekti.ge ვებგვერდი: www.intelekti.ge

სარჩევი

I შესავალი 3
II კომპლექტაცია 3
III მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა და საგნობრივი სტანდარტი 7
IV მდგრადი განვითარება 13
V როგორ მოვახდენთ ცოდნის კონსტრუირებას 14
VI რა შემთხვევაში მიიჩნევა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები მიღწეულად 15
VII კომპლექსური დავალებები, აქტივობები, კომენტარები 16

I თავი – თემა: ცხოველები მუსიკაში

კომპლექსური დავალება №1 (აქტივობა 27-31) 17
აქტივობა 1 23
აქტივობა 2 23
აქტივობა 3 24
აქტივობა 4 25
აქტივობა 5 26
აქტივობა 6 27
აქტივობა 7 28
აქტივობა 8 28
აქტივობა 9 29
აქტივობა 10 30
აქტივობა 11 30
აქტივობა 12 31
აქტივობა 13 32
აქტივობა 14-15 33
აქტივობა 16 35
აქტივობა 17 36
აქტივობა 18 38
აქტივობა 19 39
აქტივობა 20 40
აქტივობა 21 42

აქტივობა 22 43
აქტივობა 23 45
აქტივობა 24-25 45
აქტივობა 26 48

II თავი – თემა: ბუნების მოვლენები მუსიკაში

კომპლექსური დავალება №2 (აქტივობა 47-51) 50
აქტივობა 32 56
აქტივობა 33-34 58
აქტივობა 35 59
აქტივობა 36 60
აქტივობა 37 61
აქტივობა 38 61
აქტივობა 39 62
აქტივობა 40 63
აქტივობა 41 64
აქტივობა 42 65
აქტივობა 43-44 66
აქტივობა 45-46 68

III თავი – თემა: დღეობები და დღესასწაულები სახლში და გარეთ

კომპლექსური დავალება №3 (აქტივობა 60-64) 71
აქტივობა 52 79
აქტივობა 53 80
აქტივობა 54 81
აქტივობა 55 82
აქტივობა 56-57 82
აქტივობა 58- 59 84

VIII ელექტრონული რესურსის ჩამონათვალი 86
მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი 87
სანოტო დანართი 91
ინფორმაცია **Linux** პროგრამის შესახებ 112

I – შესავალი

სამყარო მუდმივად ბგერების ხმაურით არის გარემოცული. ბუნება მთლიანად ხმოვანი სამყაროა: ჭექა-ქუხილისა თუ წვიმის ხმები, წყლის ჩუხჩუხი, კოდალას კაკუნი და მწერების ბზუილი... ტყის, მინდვრების, ზღვის ხმაური. საკმარისია, გარემოს ყურადღება მივაპყროთ, შევამჩნევთ, რომ ყველაფერი, რაც მოძრაობს, თავისებურ ბგერას გამოსცემს. ერთი სიტყვით, სამყარო ხმაურობს.

ნებისმიერი ადამიანი ადვილად განასხვავებს მუსიკალურ კეთილხმოვან ბგერას ქაოსურსაგან – ხმაურისგან, მაგრამ ყოველთვის არ არის შესაძლებელი მკაფიო საზღვრის გავლება მუსიკალურ ბგერასა და ხმაურს შორის. ერთი მხრივ, საკრავს თუ შეუძლია ხმაურის მსგავსი ბგერების გამოცემა, მეორე მხრივ, მუსიკალური ბგერების დაჭერა შესაძლებელია ხმაურშიც: წვიმისა და ქარის ბგერებში, მანქანის ვიბრაციაში, მტვერსასრუტის გუგუნში, აპლოდისმენტებში...

ხმაური, შესაძლოა, იყოს სასიამოვნო ან არასასიამოვნო. ის ჩვენს ხასიათზეა დამოკიდებული, ვინაიდან ხანდახან ვამბობთ „წვიმის ხმაური“, ხან კი – „წვიმის მუსიკა“...

II – კომპლექტაცია

სახელმძღვანელოს თითოეული სახის მოკლე აღწერა და პრაქტიკული გამოყენება (ნავიგაცია)

წარმოდგენილი ნაშრომი შეიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- მოსწავლის სამუშაო რვეული;
- მასწავლებლის წიგნი;
- ელექტრონული რესურსი.

1. **მოსწავლის სამუშაო რვეული** – ჩვენი მიზანია, ბავშვში, მისი აღქმითი უნარების შესაბამისად, გავაღვივოთ ინტერესი მუსიკისადმი, მუსიკის გაკვეთილებისადმი, სისტემაში მოვიყვანოთ მისი შესაძლებლობები; შევუქმნათ წარმოდგენა სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვლენისა და ადამიანის შინაგანი სამყაროს შესახებ, რაც თავისებურ ასახვას პოულობს მუსიკალურ, მხატვრულ სახეებში.

სამუშაო რვეული სტანდარტით გათვალისწინებული სამი თემის ფარგლებში შეიცავს დავალებებს (იმავე მასწავლებლის წიგნში აქტივობების სახით არის წარმოდგენილი), რომლებიც წარმოადგენს ერთგვარ ნაბიჯებს, გადადგმულს შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შესასრულებლად. თითოეული დავალების (აქტივობის)

განხორციელებას, ხშირ შემთხვევაში, დაეთმობა ერთი საგაკვეთილო საათი. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაო რვეული, როგორც რესურსი, ყველა გაკვეთილის წარმართვისთვის არ არის გათვალისწინებული, მასწავლებლის წიგნში განთავსებული აქტივობებისა და სამუშაო რვეულის დავალებების ნუმერაცია არ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა, ვფიქრობთ, მასწავლებელს არ გაუძნელდება სახელმძღვანელოს გამოყენება (მასში და მისი ორიენტირება)

სამუშაო რვეულში განთავსებული ფერადოვანი ილუსტრაციები, ხოლო აქტივობების ბოლოს მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები დაეხმარება პატარებს გაკვეთილის შინაარსის აღქმასა და გაგებაში, გააზრებაში.

ელექტრონული რესურსი – იმაზე, თუ რა სახის რესურსს გამოვიყენებთ სასწავლო პროცესში, ბევრადაა დამოკიდებული მოსწავლეთა დაინტერესების, კლასში ჩართულობის, მათ მიერ მასალის აღქმის ხარისხი. პატივცემულ მასწავლებლებს გაკვეთილის ეფექტურად წარმართვისათვის ვთავაზობთ აუდიო/ვიდეოფირებს, რომლებიც განკუთვნილია საგნის სწავლებისთვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად, საგნობრივი სტანდარტის შედეგებზე გასასვლელად. ვიდეო/აუდიო ფირების, ე.წ. „ხმა-სემპლების“ ნახვა/მოსმენა სწავლა-სწავლების პროცესს სიცხადეს მიანიჭებს, გაუადვილებს მასწავლებელს, ინტერაქტივის საშუალებით საკითხი/თემა მიიტანოს მოსწავლემდე, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა გაიაზროს, დასკვნები გამოიტანოს, ცოდნა და უნარ-ჩვევები შეიძინოს. მასწავლებელს თავადაც შეუძლია მოიძიოს და, სურვილისამებრ, შეარჩიოს მუსიკალური მასალა.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ელექტრონული რესურსი განთავსებულია ელექტრონულ საქაღალდეში (ე.წ. ფოლდერში), რომლის ნუმერაცია შეესატყვისება კონკრეტული აქტივობის ნომერს, რაც მასწავლებელს გაუადვილებს ამ რესურსის მოძებნას.

კომპიუტერული პროგრამა LMMS – აღნიშნული რესურსის საგაკვეთილო პროცესში გამოყენება ეტაპობრივად გვაქვს გააზრებული: ადრეულ საფეხურზე მოსწავლეები პროგრამაში უმარტივეს დავალებებს შეასრულებენ: მასწავლებელი პერსონალური კომპიუტერიდან გადაუგზავნის მოზარდებს პირად ბუკებში სხვადასხვა ხმის ეფექტს, რომლებსაც პატარები გახსნიან და მოისმენენ, გარკველ ინსტრუქციებს შეასრულებენ, კითხვებს უპასუხებენ.

2. **მასწავლებლის წიგნი** – წინამდებარე დამხმარე სარეკომენდაციო წიგნზე მუშაობისას ვეყრდნობოდით მესამე თაობის ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას, შესაბამისად, ჩვენი რეკომენდაციები, კომენტარები და ზოგადად, მასწავლებლის წიგნის მთლიანი შინაარსი შეესატყვისება ამ ახალ დოკუმენტს.

III – მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომპლექსურ დავალებას. ეს არის უწყვეტი პროცესი პირველი კომპლექსური დავალებიდან მეორემდე, მეორიდან მესამემდე და ა.შ. ჩვენი მიზანია, შევეცადოთ ეს ჯაჭვი იყოს თანმიმდევრული და უწყვეტი.

კომპლექსური დავალება კონსტრუქტივისტულ პრინციპებს ეფუძნება: ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისაკენ. იგი წინარე ცოდნას ეფუძნება და იძლევა სხვადასხვა აკადემიური მზაობის მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის საშუალებას. ამასთან, მნიშვნელოვანია, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელმა გამოიყენოს მრავალფეროვანი მიდგომა და სტრატეგია, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.

კომპლექსურ დავალებაში იგულისხმება პროდუქტი, რომელსაც ქმნის მოსწავლე და რომლის საშუალებითაც ადასტურებს თავის ცოდნას შესასწავლი/განსახილველი საკითხის მიმართ.

კომპლექსური დავალების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი რეკომენდაციები:

ა) კომპლექსური დავალება არის უფრო საკლასო სამუშაო, ვიდრე საშინაო დავალება. იგი სრულებითაც არ ასოცირდება სახლში შესასრულებელ დავალებასთან. რეალურად, ეს უნდა გახდეს საკლასო სივრცეში შესასრულებელი დავალება, სადაც მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ. ბუნებრივია, დავალების გარკვეული ნაწილი სახლშიც მიჰყვება მოსწავლეს და მოხდება მშობლის ინფორმირებაც, ვინაიდან მისი მხრიდან მხოლოდ მორალური მხარდაჭერაა საკმარისი, თუმცა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი უნდა იყოს გაკვეთილზე, ეს არის ერთგვარი შესაძლებლობა – განსახორციელებელი საკლასო სივრცეში;

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მუშაობს კომპლექსურ დავალებაზე, ეხმარება მათ. ის თითოეულ მოსწავლესთან ერთი გუნდის წევრია. შესაბამისად, ამ დავალების შესრულებას/განხორციელებას დაეთმობა 4-5 გაკვეთილი (ეს დამოკიდებულია კლასში მოსწავლეთა რაოდენობაზე). დავალების მიცემით მასწავლებელს ეხსნება ერთგვარი ფანჯარა მოსწავლესთან კომუნიკაციისთვის, სწორედ ამგვარი ფანჯრის ფარგლებში იქნებიან ინტერაქციაში მასწავლებელი და მოსწავლე;

გ) კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში უმთავრესია მოსწავლის მსჯელობა და არა პროდუქტი. ბუნებრივია, პროდუქტი (მაკეტი, კოგნიტური სქემა, თხზულება და ა.შ.) კომპლექსური დავალების განუყოფელი ნაწილია, თუმცა ეს არის უფრო საშუალება იმისათვის, რომ ბავშვმა იმსჯელოს, „გაასიტყვოს“ ნამუშევარი. კომპლექსური დავალება არის მოსწავლის „ალაპარაკების“, მისი გამოცდილების „შემოყვანის“, სასწავლო პროცესში ინტეგრირების ეფექტური საშუალება. ცხადია, მხოლოდ პროდუქტი არაფრის მომცემი იქნება (მით უფრო, თუკი იგი მშობლის დახმარებით იქნება შექმნილი). პროდუქტი ერთგვარად ეხმარება მოსწავლეს ფიქრისა და აზროვნების პროცესში.

სახელმძღვანელოში განთავსებული თითოეული განსახილველი საკითხი, ჩვენ მიერ შემოთავაზებული აქტივობები, შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების მოსამზადებელ ეტაპებს წარმოადგენენ. ახალი საკითხის შესწავლის დაწყებისთანავე მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს შესასრულებელი კომპლექსური დავალების პირობას. თემაში შესვლისა და განწყობის შექმნის მიზნით და, აგრეთვე, იმისათვის, რომ დააფიქროს მოსწავლეები კომპლექსურ დავალებაზე, მასწავლებელი წინარე ცოდნაზე დაფუძნებით განახორციელებს რამდენიმე მარტივ აქტივობას, კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე, პრინციპის, მარტივიდან რთულისაკენ, გათვალისწინებით. წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეები შეასრულებენ არცთუ ისე რთულ დავალებებს, რაშიც მასწავლებელი დახმარებას გაუწევს.

ამგვარი მიდგომით პედაგოგი უხსნის პატარებს, თუ რის გაკეთებას შეძლებენ ისინი საკითხის შესწავლის დასრულებისას.

საგნობრივი სტანდარტი
მუსიკა დაწყებით საფეხურზე
შესავალი

დაწყებით საფეხურზე მოსწავლე შეისწავლის მუსიკის ენის ელემენტებს; მის გამომსახველობით საშუალებებს.

სტანდარტში **შედეგებისა** და **სამიზნე ცნებების** სახით განსაზღვრულია **გრძელვადიანი მიზნები.**

შინაარსი აღიწერება თემების (ქვეთემების), საკითხებისა და ქვეცნებების სახით. ამ შინაარსებზე დაყრდნობით ყალიბდება შუალედური მიზნები. სტანდარტში სავალდებულოდ განსაზღვრულია თემები, ცნება და ქვეცნებები, ხოლო ქვეთემებსა და საკითხებს სკოლები თავად აკონკრეტებენ. თითოეულ თემას ახლავს **შედეგების მიღწევის ინდიკატორები**, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში.

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **მუს. დაწყ.1.**:

„**მუს.**“ – მიუთითებს მუსიკის საგანს;

„**დაწყ.**“ – მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მუსიკის სტანდარტი დაწყებით საფეხურზე (I-VI **კლასები**)		
შედეგის ინდექსი	**სტანდარტის შედეგები** მოსწავლემ უნდა შეძლოს:	**სამიზნე ცნება**
მუს. დაწყ. 1	ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერისა და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ: რიტმის, ტემპის, მელოდიისა და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;	**მუსიკა**
მუს. დაწყ. 2	ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) საშუალებით გარესამყაროზე საკუთარი წარმოდგნების ჩამოყალიბება/განვითარება;	
მუს. დაწყ. 3	გარესამყაროს ამსახველი ხმოვანი გზავნილის ჩასაწერად სხვადასხვა სიმბოლოს გამოყენება მუსიკის, როგორც ერთ-ერთი საკომუნიკაციო ენის, გასააზრებლად;	
მუს. დაწყ. 4	მუსიკალური ენის ელემენტების (მაგ: რიტმის, ტემპის, მელოდიისა და ა.შ.) როლზე მსჯელობა მხატვრული სახის (მაგ., პერსონაჟის, პეიზაჟის) შექმნისას გარესამყაროში მიმდინარე პროცესების შესახებ საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატად;	
მუს. დაწყ. 5	მუსიკალურ ელემენტებს (მაგ: რიტმს, ტემპს, მელოდიასა და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა მუსიკით რაიმე მოვლენის აღსაწერად ან ამბის გადმოსაცემად;	
მუს. დაწყ. 6	მუსიკალური ელემენტების (მაგ., ფორმის) გამოყენება იდეის განვითარების გადმოსაცემად და გასააზრებლად.	

სამიზნე ცნება და ქვეცნებები

ცნება	ქვეცნებები
მუსიკა	**ბგერა** • ბგერის სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო) • ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები) • ბგერი სიმაღლე (წვრილი, საშუალო სიმაღლის, ბოხი; მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრი) • ბგერის ტემბრი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო) • სინთეზური ბგერა (ელექტრონული ბგერა)
	რიტმი (მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური, რიტმული ოსტინატო) **ტემპი** (ნელი, ზომიერი (საშუალო), სწრაფი) **მეტრი** (ძლიერი და სუსტი დრო)
	მელოდია • მელოდიის სახეობა (მღერადი, არამღერადი, აღმავალი, დაღმავალი, მელოდია ნახტომებით) • **მელოდიის ხასიათი** (იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი და ა.შ.) • **მელოდიაში ინტონაციები** (ხმაბაძვითი ინტონაცია)
	ჰარმონია • კეთილხმოვანი (სასიამოვნო) ჰარმონია; არაკეთილხმოვანი (არასასიამოვნო) ჰარმონია; მაჟორი; მინორი; ქრომატიზმი • **ინტერვალი** (დიდი დაშორების ინტერვალი, საშუალო დაშორების ინტერვალი, პატარა დაშორების ინტერვალი)
	ფორმა • ფორმის სტრუქტურული ერთეულები (დასაწყისი, შუა ნაწილი, კულმინაცია, დასასრული) • კომპოზიცია
	ჟანრი • ბალეტი • ოპერა • მიუზილკი • კინომუსიკა • თეატრალური მუსიკა

სავალდებულო თემები I-IV კლასებისთვის:

კლასი	**თემა**
I კლასი	სამყაროს ხმები მუსიკაში
	ყოფითი საგნები მუსიკაში
	თამაშები მუსიკაში
II კლასი	ცხოველები მუსიკაში
	ბუნების მოვლენები მუსიკაში
	წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ
III კლასი	ქალაქის/სოფლის ხმები
	მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში
	ჩემი ცხოვრების ერთი დღე
IV კლასი	მუსიკა და ტელევიზია
	მუსიკა და თავისუფალი დრო
	მუსიკა ანიმაციასა და საყმაწვილო კინოში

საკითხები:

თემის ფარგლებში ცნების დასამუშავებლად შერჩეულ უნდა იქნას საკითხი, რომელიც უკავშირდება ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ კატეგორიას:

- მუსიკით აღწერა
- მუსიკით თხრობა
- მუსიკით ემოციის გადმოცემა
- მუსიკით განწყობის შექმნა

II კლასი

თემა – ცხოველები მუსიკაში
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით **მუსიკა** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • მუსიკალური ენის ელემენტებით (ხმა, ხმაური, ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია) ცხოველის გარეგნობის, აღნაგობის, მოძრაობის, ქცევის გადმოცემა; • მუსიკალური ენის ელემენტების (მაგ., ფორმის) გამოყენება ცხოველების შესახებ ამბების გადმოსაცემად; • მუსიკალური ენის ელემენტების გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა კომპოზიციაში ცხოველების შესახებ ამბები გადმოიცემა.

თემა – ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით **მუსიკა** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ხმის, ხმაურის, ბგერის, მუსიკალური ენის ელემენტების (რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა) გამოყენება ბუნებრივი მოვლენების აღსაწერად; • ხმის, ხმაურის, ბგერის, მუსიკალური ენის ელემენტების (რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა) გამოყენება ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ემოციების ან განწყობის გადმოსაცემად; • ხმის, ხმაურის, ბგერის, მუსიკალური ენის ელემენტების (რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა) გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა კომპოზიციაში ბუნების მოვლენებით გამოწვეული ემოციები ან განწყობა გადმოიცემა.

თემა – წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით **მუსიკა** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმი, მელოდია, ჰარმონია ფორმა, ჟანრი) გამოყენება დღესასწაულისგან მიღებული ემოციის ან სადღესასწაულო განწყობის გადმოსაცემად; • მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის, ფორმის, ჟანრის) გაანალიზება, რომლებითაც სხვადასხვა კომპოზიციაში დღესასწაულისგან მიღებული ემოცია ან სადღესასწაულო განწყობა გადმოიცემა.

IV – მდგრადი განვითარება

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია პრიორიტეტული თემები, მათ შორის ერთ-ერთია გარემოს დაცვა, რომლის მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების დონის ამაღლება ისევე წარმოადგენს სკოლებისა და მასწავლებლების ვალდებულებას, როგორც სწავლა-სწავლების საგნობრივ შედეგებზე მუშაობა.

ვფიქრობთ, ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე უნდა ვასწავლოთ გარემოს მიმართ, სამყაროსადმი სწორი დამოკიდებულება. სწორედ ამიტომ სწავლების პირველ საფეხურზე ჩვენ მიერ დაგეგმილ მუსიკის გაკვეთლებზე არაერთხელ შევეხებით ცხოვლთა სამყაროს, ბუნებას (ტყე, მდინარე, ზღვა), მუსიკით გახმოვანებულ წელიწადის დროებს. ეს მოსწავლეს საშუალებას მისცემს, რეალური ცხოვრების მაგალითებით დაინახოს ნასწავლის მნიშვნელობა და მისი რეალიზების არეალი, ასევე სასწავლო გარემოშივე გამოამჟღავნოს ღირებულებები და დამოკიდებულებები, გამოიყენოს მიღებული ცოდნა და უნარები.

ზოგადად, ხელოვნებაში ბუნება აღტაცების, შთაგონების, აღწერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ხელოვანები თავიანთ ქმნილებებში გამოხატავენ ბუნებისადმი განწყობა-დამოკიდებულებებს. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესში მოზარდებს უნდა დავეხმაროთ ბუნების სილამაზისა და მისი მნიშვნელოვნების დანახვაში; ბავშვმა ადრეული ასაკიდან უნდა გააცნობიეროს, თუ როგორი აუცილებელია ეკოლოგიაზე ზრუნვა, გარემოს გაფრთხილება.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში გათვალისწინებულია მდგრადი განვითარების პრინციპები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერებისა და ტოლერანტობის გრძნობის განვითარებას. მუსიკის გაკვეთილებისთვის ჩვენ მიერ დაგეგმილი და შემოთავაზებული სასწავლო აქტივობები გამჭოლადაა ინტეგრირებული მდგრადი განვითარების ისეთ თემებთან, როგორებიცაა: ბიომრავალფეროვნების დაცვა (რა ვიცი ხეების შესახებ? რა ვიცი ტყის შესახებ?), ნარჩენების მართვა (რა ზიანს აყენებს ნარჩენები ადამიანსა და გარემოს?), კლიმატის ცვლილება (რა არის ამინდი?) და სხვა.

V – როგორ მოვახდენთ ცოდნის კონსტრუირებას (აგებას)

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში მასწავლებლებს ვთავაზობთ მრავალფეროვანი მეთოდებით დაგეგმილ გაკვეთილებს, აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეებს ცოდნის აგებაში, კონსტრუირებაში შეუწყობს ხელს.

კონსტრუქტივიზმის მიხედვით, მოსწავლე სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა. იგი აგებს ცოდნას მასწავლებლის მიერ გადაცემული ინფორმაციის საფუძველზე, შესაბამისად, კონსტრუქტივისტული გაკვეთილი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეს, თავად ააგოს ცოდნა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მან შეძლოს ამ ცოდნის გაანალიზება – ყოველივე ეს ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში **სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვებით მიიღწევა** – თითქმის ყველა აქტივობის მიმდინარეობის დროს/ბოლოს მასწავლებელს ვთავაზობთ შეკითხვებს, რომლებითაც იგი დაეხმარება მოსწავლეს საკითხის გააზრებასა და საკუთარი დასკვნების გამოტანაში, ხოლო მასწავლებელი, თავის მხრივ, გაარკვევს, თუ რამდენად აითვისა, გაიგო ბავშვმა გადაცემული ცოდნა/ინფორმაცია.

სასურველია, მასწავლებელი გათავისუფლდეს რუტინისაგან და გამოიყენოს ისეთი სასწავლო მეთოდები, როგორებიცაა:

ვერბალური ინფორმაცია	**სწავლების ვიზუალიზაცია**	**დისკუსია**	**ბეჭდითი/ელექტრონული ღონისძიებები**
Storytelling; Case Study; როლების მიხედვით თამაში; სავარჯიშოების დროს ლექსების, სიმღერების გამოყენება; პრეზენტაცია/ წარდგენა	სურათები; თვალსაჩინო მასალა; ილუსტრაციები; ვიდეოფირები	კითხვა-პასუხი; მსჯელობა; სხვისი ნააზრევის შეფასება	პლაკატი; აფიშა; მუსიკალური კომპოზიციები

ა) Storytelling – ამბის მოყოლას ნიშნავს. ერთი მხრივ, ეს სწორედ ისაა, რაც ჩვენს ბავშვობაში სულ ხდებოდა და გვამახსოვრდებოდა. თუმცა მუსიკის გაკვეთილზე უბრალო, მარტივ ამბებზე კი არა, ისეთ მოვლენებზე უნდა ვისაუბროთ ბავშვთან, რომლებიც მას განუვითარებს თვითგამოხატვის – თავისი დამოკიდებულებების, ემოციის ახსნის, ინტერპრეტაციის – წარმოსახვის, აბსტრაქტული აზროვნების, ძველსა და ახალს შორის კავშირის დამყარების, უნარებს; გაამდიდრებს მის ლექსიკას არა მხოლოდ მუსიკალური ცნებების გამოყენებით. Storytelling-ის საშუალებით მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ, მუსიკალური ფრაგმენტების დახმარებით აღწერონ ის, რაც სიტყვით არის გადმოცემული. ამ მიზნით, მასწავლებელი შესთავაზებს პატარა

მსმენელებს მუსიკალურ ფრაგმენტებს, ხოლო მოსწავლეები მუსიკის ელემენტების მიხედვით დაადგენენ ამ ფრაგმენტების შესაბამისობას სიტყვიერ ტექსტთან;

ბ) Case Study – ერთგვარი სიტუაციური ანალიზია, სიტუაციაში კი იკვეთება პრობლემა, რომელიც მოითხოვს გადაჭრას ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების გზით. თუმცა მუსიკაში პრობლემას მოვიაზრებთ მხატვრული ამოცანის კონტექსტში. მხატვრული ამოცანა კი გულისხმობს იმას, რომ მუსიკა გამოვიყენოთ, როგორც საკომუნიკაციო საშუალება, უფრო ზუსტად, მსმენელმა გადმოსცეს მუსიკის მოსმენით მიღებული ემოციები, ასოციაციები, საკუთარი დამოკიდებულება მოსმენილთან მიმართებით. ამ და სხვა უნარებს კი მოსწავლე გამოავლენს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის, შემდეგ კი წარდგენის (გასიტყვების) დროს, ვინაიდან კომპლექსური დავალება სწორედაც პრობლემაზე (მუსიკის შემთხვევაში, მხატვრული ამოცანის განხორციელებაზე) არის ორიენტირებული.

VI – რა შემთხვევაში მიიჩნევა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები მიღწეულად?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში გვეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: **პრესტრუქტურულს**, **უნისტრუქტურულს**, **მულტისტრუქტურულს**, **მიმართებით და აბსტრაქტულ** დონეებს.

თითოეული მათგანი წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს / სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. პირველ სამ დონეზე სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხების გააზრების ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი. <u>ცნების დაუფლება/შედეგის მიღწევა</u> იგივდება მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებთან.

პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მიმართებითი დონე მოსწავლეს შეუძლია: • სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრება-გაანალიზება; • სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; • კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონტექსტუალიზება (საგნის სხვა სამიზნე ცნებებთან დაკავშირება); • მიმართებითი დონეზე საკითხის/სამიზნე ცნების გააზრება ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგის მიღწევას. თუმცა შესაძლებელია მოსწავლე უფრო შორსაც წავიდეს, ანუ იმ განზოგადებებისკენ, რომლებიც აბსტრაქტული დონისთვისაა განსაზღვრული.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს შეუძლია სამიზნე ცნებასთან მიმართებული ცოდნისა და გამოცდილების ეროვნული სასწავლო გეგმის **ზესაგნობრივ** (**მაკრო**) **ცნებებთან დაკავშირება**.

VII – კომპლექსური დავალებები, აქტივობები კომენტარები

თემა	**კომპლექსური დავალების აღწერა**
I თავი **ცხოველები მუსიკაში**	№ 1. მოსმენილი ხმებისა და მუსიკალური ფრაგმენტების მიხედვით, ცხოველის მოძრაობის, ქცევის გადმოცემის მიზნით, ცხრილების შევსება და წარდგენა. **<u>საკითხი</u>**: მუსიკით ცხოველების აღწერა.
II თავი **ბუნების მოვლენები მუსიკაში**	№2. ხმის ეფექტებითა და მუსიკალური ფრაგმენტებით მუსიკალური კომპოზიციის შექმნა და წარდგენა. **<u>საკითხი</u>**: მუსიკით ბუნებრივი მოვლენის აღწერა.
III თავი **დღეობები და დღესასწაულები სახლში და გარეთ**	№3. მუსიკალური ელემენტების გამოყენება დღესასწაულიდან მიღებული ემოციის ან სადღესასწაულო განწყობის გადმოსაცემად. **<u>საკითხი:</u>** მუსიკით დღესასწაულის მსვლელობის აღწერა.

I თავი
თემა: ცხოველები მუსიკაში

კომპლექსური დავალება №1 – აქტივობა 27-31

(სამუშაო რვეული დავალება 19)

(აღნიშნული დავალების შესრულებისა და წარდგენისათვის გამოიყოს 4-5 საგაკვეთილო საათი.)

კომპლექსური დავალების პირობა	გრძელვადიანი მიზნები
<u>საკითხი:</u> მუსიკით ცხოველების აღწერა **<u>პირობა:</u>** მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს. შეარჩიეთ მათ შორის სამი ფრაგმენტი, რომლებიც აღწერს სურათებზე გამოსახულ კატებს და სამი ფრაგმენტი, რომლებიც აღწერს ჩიტებს. ფრაგმენტების შესაბამისი რიგითი ნომრები ჩაწერეთ სურათების ზედა, ცარიელ უჯრაში. განმეორებითი მოსმენის შემდეგ სიმბოლოებით გამოსახეთ მუსიკით გადმოცემული ცხოველების მოქმედება. თქვენ მიერ აღწერილი მასალა, შევსებული ცხრილების სახით, წარუდგინეთ თანაკლასელებს. **<u>პრეზენტაციის დროს წარმოაჩინეთ:</u>** • როგორ მიუსადაგეთ მუსიკის მახასიათებლები ცხოველის გარეგნობას? • როგორ მიუსადაგეთ მუსიკის მახასიათებლები ცხოველის ქცევის მანერას? • როგორ წარადგენთ ცხოველების მუსიკალურ დახასიათებას?	**<u>სამიზნე ცნება:</u>** მუსიკა **<u>შედეგი</u>:** მუს. დაწყ. (I) 2,4,5 **<u>ქვეცნებები:</u>** ბგერის სიძლიერე (ხმამაღლა, ხმადაბლა, ფორტე, პიანო); ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები); ბგერის სიმაღლე (წვრილი, საშუალო, ბოხი; მაღალი, დაბალი რეგისტრი); ბგერის ტემბრი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო **<u>სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</u>** • მუსიკა მოიცავს ყველაფერს, რაც გვესმის (ხმა, ხმაური), რაც ატარებს თავის განწყობას, შინაარსს და იწვევს ჩვენში გარკვეულ განცდას; • ხმა, ხმაური, მელოდია, რიტმი, ჰარმონია და ფორმა მუსიკის მთავარი მახასიათებლებია; • მუსიკალურ ნაწარმოებებს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.
<u>დამხმარე რესუსი:</u> • ლ. ანდერსონი – „კატების ვალსი“; • ს. პროკოფიევი – „კატა“ (საფორტეპიანო ციკლიდან „პეტრე და მგელი“); • ჯ. როსინი – „კატების დუეტი“; • კ. ჟანეკენი – „ფრინველების გალობა“; • ა. ვივალდი -„გაზაფხული“ (საციოლინო კონცერტების ციკლიდან „წელიწადის დრონი“). • გ.ფ.ჰენდელი – „გუგული და ბულბული“, საორღანო კონცერტი.	

კომპლექსური დავალება №1

<u>**საკითხი:**</u> მუსიკით ცხოველების აღწერა

პირობა:

1. **დაათვალიერეთ ნახატები, შემდეგ კი დააკავშირეთ ისინი ხაზებით მათ სიტყვიერ აღწერილობასთან**:

კატა ცეკვავს.

კატების ჩხუბი

კატა ნადავლს ეპარება.

ჩიტები გალობენ.

დედა-ჩიტი და ბარტყები

ჩიტი ცაში ფრენს.

2. მოუსმინეთ ექვს მუსიკალურ ფრაგმენტს. შეარჩიეთ მათ შორის სამ-სამი ფრაგმენტი, რომლებიც აღწერს სურათებზე გამოსახულ კატებსა და ჩიტებს. ფრაგმენტების შესაბამისი რიგითი ნომრები ჩაწერეთ სურათების ზედა, ცარიელ უჯრაში.

ცხრილი 1

ფირი №	**ფირი №**	**ფირი №**
ჩახატეთ სიმბოლო.	ჩახატეთ სიმბოლო.	ჩახატეთ სიმბოლო.

ცხრილი 2

ფირი №	**ფირი №**	**ფირი №**
ჩახატეთ სიმბოლო.	ჩახატეთ სიმბოლო.	ჩახატეთ სიმბოლო.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რომელი მუსიკალური ფირი შეუსაბამეთ კატების ცეკვას?
- თქვენი აზრით, ამ ცეკვის დროს კატა ბრუნვით მოძრაობებს ასრულებს თუ ხტის? რატომ ფიქრობთ ასე?
- შეეცადეთ და თავად შეასრულეთ მოძრაობა ამ მუსიკის თანხლებით – მოსწავლეები, სურვილისამებრ, ამოძრავდნენ;
- აღწერეთ მუსიკალური ფრაგმენტი, რომელიც კატების ჩხუბს შეურჩიეთ:

ა) ამ ფირში კატები (მომღერლები) გამოსცემენ უხეშ ბგერებს, ეს ბგერები ხმამაღლა, ფორტეზე ჟღერს;

ბ) ამ ფირში კატები (მომღერლები) ხან ბოხ, ხანაც წვრილ ბგერებს გამოსცემენ. ბგერების ტემბრი წკრიალაა. მოსწავლეებიც გამოსცემენ ხმაბაძვით სიტყვებს;

- ახსენით, როგორ აღწერა კომპოზიტორმა (მუსიკის შემქმნელმა) მუსიკალურად კატის მიპარვა ნადავლთან?

ა) მუსიკა თავდაპირველად ჩუმად და ნელა იწყებს ჟღერადობას, შემდეგ აჩქარდება და ხმოვანებაც გაძლიერდება – ზუსტად ისე, როგორც კატა ფრთხილად, მალულად ეპარება და შემდეგ უცებ თათებს წაავლებს ხოლმე ნადავლს;

ბ) მუსიკა თავიდანვე ხმამაღლა და სწრაფად ჟღერს.

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი შეურჩიეთ ჩიტების გალობას? დედა-ჩიტსა და ბარტყებს? ცაში აფრენილ ჩიტებს?
- აღწერეთ მუსიკალური ფრაგმენტი, რომელიც ცაში აფრენილ ჩიტებს შეურჩიეთ:

ა) მუსიკალური ბგერებიც ზუსტად ისე „ჟღურტულებენ“, როგორც ჩიტები – ჟღერს მაღალი რეგისტრის, წვრილი ბგერები, თითქოს რამდენიმე ჩიტი ერთდროულად ჭიკჭიკებს;

ბ) მუსიკაში დაბალი რეგისტრის, ბოხი ბგერები ჭარბობს.

3. განმეორებითი მოსმენის შემდეგ იმავე ცხრილში სიმბოლოებით გამოსახეთ მუსიკით გადმოცემული ცხოველების მოქმედება. თქვენ მიერ აღწერილი მასალა შევსებული ცხრილების სახით წარუდგინეთ თანაკლასელებს.

პრეზენტაციის დროს ხაზგასმით უნდა წარმოაჩინოთ:

- როგორ მიუსადაგეთ მუსიკის მახასიათებლები (რიტმი/მელოდია) ცხოველის გარეგნობას?
- როგორ მიუსადაგეთ მუსიკის მახასიათებლები (რიტმი/მელოდია) ცხოველის ქცევის მანერას?
- როგორ წარადგენთ ცხოველების მუსიკალურ დახასიათებას?

პრაქტიკული რჩევები – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები

I ეტაპი (კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა)

	რა აქტივობებს განვახორციელებთ	**რა კითხვებზე ვმუშაობთ?**	**როგორაა დაკავშირებული ეს კომპლექსურ დავალებასთან?**
I ეტაპი კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა	**მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა, აგრეთვე, ილუსტრირებული ცხრილების წარდგენა** თემაში შესვლისა და განწყობის შექმნის მიზნით და, აგრეთვე, იმისათვის, რომ დავაფიქროთ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებაზე, მასწავლებელი წინარე ცოდნაზე დაფუძნებით განახორციელებს რამდენიმე მარტივ აქტივობას, მაგალითად, რადგან შესასრულებელი დავალების მიხედვით ბავშვებმა მუსიკით ცხოველები უნდა აღწერონ, საწყის ეტაპზე მასწავლებელი მოასმენინებს და შეძლებისდაგვარად გამოაცნობინებს მათ რამდენიმე ცხოველის ხმას. შემდეგ კი ბავშვები გაახმოვანებენ მათ; ისაუბრებენ/მოყვებიან მათთვის ნაცნობი ცხოველის შესახებ (იხ. სამოტივაციო აქტივობა 1), ხოლო საეტაპო აქტივობებში თანდათან გართულდება შესასრულებელი დავალების პირობა.	• გიმუშავიათ მსგავს დავალებაზე? • გამოთქვით ვარაუდი, როგორ შეავსებთ ამ ცხრილს? • ჩამოთვლილთაგან რომელი ცხოველი გინახავთ? • სად გინახავთ? • ამ ცხოველებიდან რომელია შინაური? გარეული? • კიდევ რომელ შინაურ/გარეულ ცხოველს იცნობთ?..	კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე, პრინციპის, მარტივიდან რთულისაკენ, გათვალისწინებით, წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეები შეასრულებენ არცთუ ისე რთულ დავალებებს, რაშიც მასწავლებელი დახმარებას გაუწევს.

რას ვაფასებთ?

აღწერა	
მოსწავლე უკავშირებს მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებს სურათებს;	
აღწერს ცხოველის ქცევის მანერას მუსიკის მახასიათებლების დახმარებით;	
აღწერს მუსიკით ცხოველის გარეგნობას;	
ავსებს ცხრილს, პირობის თანახმად;	
წარდგენის დროს აღწერს საკუთარ ცხრილს;	
ახსნა	
ხსნის თავის არჩევანს, თუ რატომ შეუსაბამა კონკრეტული მუსიკალური ფრაგმენტი ცხოველის გარეგნობასა და ქცევის მანერას (არგუმენტის დროს მიზნობრივად იყენებს ტერმინებს, სათანადო ლექსიკას);	
ხსნის, თუ როგორ მიუსადაგა მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტი სურათებს;	
შეფასება	
აფასებს, რამდენად გაართვა დავალებას თავი;	
წარდგენის დროს გადმოსცემს თავის დამოკიდულებებს.	

კომენტარი:

მასწავლებელს ვთავაზობთ კომპლექსური დავალების ეტაპობრივად განხორციელებას, კერძოდ:

ა) მოსწავლეები ნახატებს ხაზებით დაუკავშირებენ სიტყვიერ აღწერილობას (აღნიშნული აქტივობა დაეხმარება პატარებს მომდევნო ეტაპზე, მუსიკით გადმოცემული ცხოველების მოქმედება დაუკავშირონ ნახატებს: „კატა ნადავლს ეპარება“, „კატა ცეკვავს“, „ჩიტები მღერიან“ და ა.შ.);

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს ექვს მუსიკალურ ფრაგმენტს, რომელთაგან მათ სამი კატების, ხოლო დანარჩენი – ჩიტების მოქმედებას უნდა დაუკავშირონ. აღნიშნული დავალების შესასრულებლად გარკვეული დრო იქნება საჭირო. თითოეული ფრაგმენტის გაჟღერების შემდეგ მასწავლებელი დაადგენს, თუ რომელი მუსიკალური ფრაგმენტი რომელ ნახატს დაუკავშირეს ბავშვებმა. ამისათვის კი გამოიყენებს გამყვან კითხვებს, მაგალითად:

- მუსიკის მახასიათებლების (რიტმი/მელოდია) დაკავშირება ცხოველის გარეგნობასთან.
- მუსიკის მახასიათებლების (რიტმი/მელოდია) დაკავშირება ცხოველის ქცევის მანერასთან.
- ცხოველების მუსიკალური დახასიათების წარდგენა.

გ) მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაიაზრებენ მოსმენილი მუსიკისა და ნახატზე გამოსახული სიტუაციების შესაბამისობას, მასწავლებელი კვლავ ასმენინებს მათ იმავე ფრაგმენტებს და სთხოვს კლასს, ცხრილში სიმბოლოებით გამოსახონ მუსიკით გადმოცემული ცხოველების მოქმედება;

დ) მოსწავლეებმა აღწერილი მასალა შევსებული ცხრილების სახით უნდა წარუდგინონ თანაკლასელებს;

ე) მასწავლებელს შეუძლია პატარებს ბუკებში გადაუგზავნოს ცხოველების ხმა-სემპლები, ხოლო ისინი დაახარისხებენ ამ ხმებს „შინაური ცხოველებისა“ და „გარეული ცხოველების“ ჯგუფებად; შმდგომ კი წარადგენენ კლასის წინაშე.

ზოგადად, ჩვენ მიერ შემოთავაზებული კომპლექსური დავალების შესრულებას დაეთმობა რამდენიმე გაკვეთილი, ვინაიდან მასწავლებელს სწავლების მეორე საფეხურზე ჯერ კიდევ მოუწევს მოსწავლეებთან ინდივიდუალური თანამშრომლობა. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის მიერ კლასის ეფექტურად მართვას, სწორად განხორციელებულ მენეჯმენტს: როგორ წარადგინოს ბავშვმა შესასრულებელი დავალება? რამდენად სწორად გაიაზრებს მოსწავლე დავალების პირობას? როდესაც ერთს ეხმარება, ამ დროს რას აკეთებს სხვა?..

ვფიქრობთ, შესაძლებელია კლასში შეიქმნას თანამშრომლობითი წყვილები – მოსწავლეებმა შეაფასონ ერთიმეორის დავალება; შესაძლებელია, მასწავლებელმა განსხვავებული საგაკვეთილო ფორმატიც მოიფიქროს, მაგალითად, „მრგვალი მაგიდა“ – მერხები იმგვარად დალაგდეს, რომ მასწავლებელმა წრეზე იმოძრაოს – ასე დაამყაროს კომუნიკაცია პატარებთან და ა.შ.

აქტივობა 1 სამოტივაციო

რესურსი: ცხოველების ხმები

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს ოთხი ცხოველის (ლომი, მგელი, ძროხა, ცხვარი) ხმას და სთხოვს მათ, ამოიცნონ, შეძლებისდაგვარად, შემდეგ გაახმოვანონ ეს ხმები.

წინარე ცოდნის დამდგენი შეკითხვები:

- ჩამოთვლილთაგან რომელი ცხოველი გინახავთ?
- სად გინახავთ?
- ამ ცხოველებიდან რომელია შინაური? გარეული?
- კიდევ რომელ შინაურ/გარეულ ცხოველს იცნობთ?.

II ეტაპი

ნაბიჯი 1 – მოსმენილი ხმების მიხედვით ცხოველების ამოცნობა, დახასიათება და დახარისხება (აქტ. 2-8);
ნაბიჯი 2 – მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტების მიხედვით ცხოველის ზომისა და მოქმედების დადგენა (აქტ. 9-17);
ნაბიჯი 3 – მუსიკის ელემენტების (მელოდია, ტემბრი, დინამიკა, ტემპი, რეგისტრი), აგრეთვე სიტყვიერი ტექსტის დაკავშირება ცხოველის ქცევასთან, გარეგნობასა და კონკრეტულ გაწყობილებასთან (აქტ. 18-21);
ნაბიჯი 4 – მუსიკის ელენტებით, მღერით, მოძრაობით, მიმიკითა და ჟესტით ცხოველის გარეგნობის/ქცევის აღწერა; ცხოველის ხმის/მოძრაობის ამსახველი ინტონაციის/მოტივის სიმბოლოთი გამოსახვა (აქტ. 22-28);
ნაბიჯი 5 – კომპლექსური დავალების წარდგენა (აქტ. 29-33)

აქტივობა 2

რესურსი: ცხოველების ხმები; სამუშაო რვეული (დავალება 1)

მასწავლებელი ასმენინებს ოთხი ცხოველის (ლომი, მგელი, ძროხა, ცხვარი) ხმას და სთხოვს კლასს, სამუშაო რვეულში წარმოდგენილ ცხრილში დაალაგონ ეს ხმები სიმაღლის ზრდადობის მიხედვით, ყველაზე წვრილი ხმის მქონე ცხოველს დაუწერონ ციფრი „1“, ხოლო ყველაზე ბოხი ხმის მქონე ცხოველს კი – „4“.

			

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები

- რომელ ცხოველს ჰქონდა ყველაზე მაღალი, წვრილი ხმა?
- ამ ცხოველის ხმა გაბმულად ჟღერს თუ წყვეტილად?
- თუ შეგიძლიათ, თქვენც გაახმოვანეთ.

აქტივობა 3

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 2); ცხოველების ხმები

ბავშვები სამუშაო რვეულში ათვალიერებენ ცხოველების სურათებს. მასწავლებელი განმეორებით ასმენინებს ხმებს და სთხოვს, სამუშაო რვეულში თითოეული ცხოველის სურათი ისრებით დააკავშირონ სიმბოლოებთან:



სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები

- რამდენ ცხოველს აქვს ბოხი ხმა?
- ამათგან რომელია შინაური? გარეული?
- რომელი ცხოველის ხმა იყო ბოხი? წვრილი?
- რომელი ცხოველის ხმა გაისმა წყვეტილად?გაახმოვანეთ თქვენც;
- რომელი სიმბოლო შეუსაბამეთ ცხვრის ხმას? მგლისა? ძროხისა? – ახსენით პასუხები.

გარეული და შინაური ფრინველების ამოცნობა და დახასიათება-დახარისხება

აქტივობა 4

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 3); ფრინველების ხმები.

ა) დაათვალიერეთ ეს ფრინველები. რომელ მათგანს იცნობთ აქედან? ეს ფრინველები შინაურია თუ გარეული? მოსწავლეებმა უჯრებში ჩაწერონ „შ“ – შინაური ან „გ“ – გარეული.



ბელურა **მტრედი** **წერო** **არწივი**

ბ) დაახარისხეთ ეს ფრინველები სიდიდის მიხედვით, პირველ უჯრაში ჩაწერეთ ყველაზე პატარა ფრინველის სახელწოდება, ხოლო მეოთხეში – ყველაზე დიდი ზომის ფრინველისა;

	ფრინველების დახარისხება სიდიდის მიხედვით (დაწერეთ სახელწოდებები).	**დაახარისხეთ ფრინველების ხმები.**
1	ბელურა	ყველაზე წვრილი ხმა
2	მტრედი	ყველაზე ბოხი ხმა
3	არწივი	
4	სირაქლემა	

გ) პედაგოგი ასმენინებს კლასს ფრინველების ხმებს და სთხოვს, სახელწოდებების გასწვრივ მიუწერონ, რომელი ფრინველის ხმა არის ყველაზე წვრილი და რომლისა – ყველაზე ბოხი.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები

- რომელია ამათგან ყველაზე დიდი ფრინველი?
- როგორ ფიქრობთ, ფრინველის ზომა განსაზღვრავს მისი ხმის სიმაღლეს?
- როგორ დაახარისხეთ ფრინველების ხმები?
- რომელ ფრინველს ჰქოდა ყველაზე წვრილი ხმა?
- ეს ფრინველი ზომით დიდია, საშუალოა თუ პატარა?
- რომელ ფრინველს ჰქონდა ყველაზე ბოხი ხმა?
- როგორი ზომისაა ეს ფრინველი?

აქტივობა 5

რესურსი: ფრინველების ხმები; სამუშაო რვეული (დავალება 4)

მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს ფრინველების ხმებს, სთხოვს, გამოიყენონ საუბრის დროს ხმის მახასიათებლები **(ხმამაღალი, ხმადაბალი, ბოხი, წვრილი, წკრიალა, მჭახე (უხეში), რბილი, თბილი, ტკბილი, ღუღუნა).** და ჩაწერონ ცხრილში ფრინველის გასწვრივ.

	ფრინველების სახელწოდებები	**დაახასიათეთ ფრინველების ხმები.**

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორეინტირებული შეკითხვები

- როგორ დაახასიათეთ ფრინველების ხმები?
- როგორი ხმა აქვს ბეღურას?
- რომელ ფრინველს აქვს ღუღუნა ხმა?
- ეს ფრინველი შინაურია თუ გარეული?
- ამ ფრინველის ხმა ჩუმად ჟღერს თუ ხმამაღლა?
- რომელ ფრინველს აქვს უხეში ხმა?
- რომელ ფრინველს აქვს ბოხი ხმა?
- ეს ფრინველი როგორი ზომისაა?

აქტივობა 6

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 5); ფრინველების ხმები

მასწ: – დააკვირდით სურათს და აღწერეთ, როგორ არიან განლაგებულნი შინაური ფრინველები.

კომენტარი:

მასწავლებელმა უნდა გაამახვილოს ყურადღება იმაზე, თუ რომელი შინაური ფრინველი არის ნახატის წინა პლანზე და რომელი უკანა პლანზე – ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ წინა პლანზე განთავსებული ფრინველის ხმა უფრო ახლოდან გაისმის); პედაგოგი ასმენინებს ფირს და განსაზვრავენ ერთობლივად, რომელ ფრინველს შეესაბამება იგი (მამალი და ქათამი).



სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორეინტირებული შეკითხვები

- აღწერეთ, გააშინაარსეთ ნახატი, რომელი ფრინველები ამოიცანით?
- ამათგან რომელი ფრინველს აქვს გამყინავი, ძლიერი ხმა?
- შეგიძლიათ, გაახმოვანოთ ეს ფრინველი?
- რომელი ფრინველის ხმაბაძვითი სიტყვაა: „ყიიყლიყოოო!“

მასწავლებელი ასმენინებს კლასს მამლისა და ქათმის ხმებს (მამლის ყივილსა და ქათმის კაკანს). არკვევს, ამათგან რომელია რიტმულად თანაბარი და რომელი – არარიტმული. ბავშვებმა სამუშაო რვეულში მოცემული ხმის სიმბოლოები ხაზებით უნდა მიუსადაგონ მამალს და ქათამს.

აქტივობა 7

რესურსი: ფრინველების ხმები; სამუშაო რვეული (დავალება 6)

მასწავლებელი ასმენინებს კლასს ოთხი ფრინველის ხმას იმ თანმიდევრობით, როგორც ცხრილშია წარმოდგენილი. იგი სთხოვს მოსწავლეებს, შეადარონ ხმები ერთმანეთს და დაახარისხონ ხმის სიძლიერის ზრდის მიხედვით. ყველაზე ხმადაბალი ფრინველის ხმოვანებას ზედა უჯრაში უნდა დაუწერონ ცფრი „1“, ყველაზე ხმამაღალს კი – „4“.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები

- რომელი ფრინველის ხმა ჟღერდა ყველაზე ჩუმად?
- შეგიძლიათ, მიბაძოთ ამ ფრინველს? – მტრედის ღუღუნი
- რომელი ფრინველის ხმა ჟღერდა ყველაზე ძლიერად?
- როგორია ეს ხმა, სასიამოვნო თუ არასასიამოვნო?
- მოსმენილთაგან რომელი ფრინველის ხმას შეიძლება ვუწოდოთ მჭახე (უხეში)?
- ეს ხმა ხმამაღლა გაჟღერდა თუ ხმადაბლა, ჩუმად?

აქტივობა 8

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 7); ცხოველებისა და ფრინველების ხმები

მოსმენილი ხმების მიხედვით ცხოველის ხმის სიმაღლის, ზომისა და მოძრაობის სიჩქარის დადგენა

1. მოუსმინონ და შემოხაზონ, წვრილია თუ ბოხი ხმები:

ა) ბ) გ)

2. მოისმინონ და შემოხაზონ, სწრაფად მოძრაობს თუ ნელა?

ა) - - - - — — ბ) - - - - — — გ) - - - - — —

3. მოისმინონ და გამოიცანონ, დიდი ცხოველია თუ პატარა?

ა)

ბ)

გ)

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები

- რომელ გაჟღერებულ ფირში გაისმა წვრილი ხმა?
- თქვენი აზრით, ეს ხმა ცხოველისაა თუ ფრინველის?
- როგორ მიხვდით? გაახმოვანეთ თქვენც;
- რომელ ფირში იგრძნობა, რომ ცხოველი სწრაფად მოძრაობს?
- როგორ მიხვდით ხმის მიხედვით, ცხოველი დიდია თუ პატარა?
- რომელი სიმბოლო მიუსადაგეთ ამ ხმას?
- როგორი ხმა აქვს ამ ცხოველს, წვრილი თუ ბოხი?

II ნაბიჯი

მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტების მიხედვით ცხოველის ზომისა და მოქმედების დადგენა

აქტივობა 9

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 8); ორი მუსიკალური ფრაგმენტი – პიესები გ. გოლინინის სიუიტიდან „ზოოპარკში “, „დათვის ნაბიჯები“ და „კურდღელი“.

მოსწავლეებმა მოისმინონ მუსიკა და გამოიცანონ, დიდ ცხოველს განასახიერებს თუ პატარას?

ა)

ბ)

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები

- როგორ მიხვდით მუსიკის მიხედვით, დიდ ცხოველს განასახიერებს ის თუ პატარას?
- მოსმენილთაგან ერთ-ერთი მუსიკალური ფრაგმეტი კურდღლის მოძრაობას აღწერს, ხოლო მეორე – დათვის ნაბიჯებს. გამოიცანით, რომელი რომელია?
- დათვის მოძრაობის აღმწერ მუსიკაში როგორი ბგერები ისმის, ბოხი თუ წვრილი?
- თქვენი აზრით, ეს დათვი კეთილია თუ ბოროტი? რატომ ფიქრობთ ასე?
- მუსიკა კურდღლის მოძრაობას აღწერს თუ ხმას?
- ეს მუსიკა სწრაფია თუ ნელი?
- მაღალი რეგისტრის, წვრილი ბგერები ჟღერს მუსიკაში თუ დაბალი რეგისტრისა, ბოხი?
- კურდღელი მხიარულია თუ მოწყენილი?

აქტივობა 10

რესურსი: ჟ.ფ. რამო – „ქათამი“; გ. რებიკოვი – „დათვის ნაბიჯები

მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს ორ მუსიკალურ ფრაგმეტს (ჟ.ფ. რამოს „ქათამი“ და პიესას გ. რებიკოვის „დათვის ნაბიჯები“), რომლებშიც დახასიათებულია ცხოველები.

ა) რას განასახიერებს მუსიკალური ნაწარმოები, მოძრაობას თუ ხმას?

ბ) რომელმა მუსიკალურმა მახასიათებელმა (რიტმი, მელოდია, ტემპი) გიკარნახათ ეს პასუხი?

აქტივობა 11

რესურსი: კ. სენ-სანსის „ვირი“ (ციკლიდან „ცხოველების კარნავალი“); მ. დავითაშვილი – საფორტეპიანო პიესა „ყურშა“; სამუშაო რვეული (დავალება 9)

მასწავლებელი ასმენინებს ორ მუსიკალურ ფრაგმენტს, კ. სენ-სანსის „ვირი“ (ციკლიდან „ცხოველების კარნავალი“) და მ. დავითაშვილის საფორტეპიანო პიესას „ყურშა“. ბავშვებმა უნდა ივარაუდონ, რომელი ცხოველებია დახასიათებული ამ ნაწარმოებებში;

განმეორებით მოსმენის შემდეგ, ბავშვები სამუშაო რვეულში ათვალიერებენ ნახატებს. შეავსონ ცხრილი 1;

ორივე მუსიკალური ფრაგმენტის საფუძველზე ყურშასა და ვირის ხმები უნდა გამოსახონ სიმბოლოებით (ცხრილი 2)

ცხრილი 1

ჩაწერეთ ფრაგ-მენტის ნომერი.	**ხაზი გაუსვით, მუსიკა ცხო-ველის მოძრაობას განასახი-ერებს თუ ცხოველის ხმას.**	**ხაზი გაუსვით მუსიკის რო-მელმა გამომსახველმა ხერხმა გიკარნახათ ამგვარი პასუხი.**
ფრაგმენტი №	მოძრაობა თუ ხმა	მელოდია რიტმი ტემპი
ფრაგმენტი №	მოძრაობა თუ ხმა	მელოდია რიტმი ტემპი

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი განასახიერებს ცხოველის მოძრაობას?
- რომელმა გამომსახველმა ხერხმა გიკარნახათ ამგვარი პასუხი?
- როგორი რიტმი აქვს ამ მუსიკას?

ა) მშვიდი

ბ) მოძრავი

- როგორ ტემპში ჟღერს ეს მუსიკა?

ა) ნელი

ბ) საშუალო

გ) ჩქარი.

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტია ხალისიანი და მხიარული?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტია მშვიდი, სევდიანი?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი განასახიარებს ცხოველის ხმას? შეგიძლიათ ეს ცხოველი გაახმოვანოთ?
- მუსიკაში რომელი გამომსახველი ხერხით არის აღწერილი ამ ცხოველის ხმა: რიტმით თუ ტემპით?

ცხრილი 2

ყურშა და ვირი	**ცხოველების ხმები გამოსახეთ სიმბოლოებით**
	

- რომელი სიმბოლოთი გამოსახეთ ყურშა? ახსენით პასუხი;
- ვირის სიმბოლო მის მოძრაობას ასახავს თუ ხმას (ყროყინს)? გაახმოვანეთ ვირი.

აქტივობა 12

რესურსი სამუშაო რვეული (დავალება 10); ა. ლავინიკა – „გალოპი“, გ. გალინინი – სიუიტიდან „ზოოპარკში“, ფრაგმენტი „კურდღელი“

ბავშვები სამუშაო რვეულში ათვალიერებენ ცხენისა და კურდღლის ნახატებს. მასწავლებელი ასმენიებს მათ მუსიკას (ა. ლავინიკა – „გალოპი“ ან რ. შუმანი – „მამაცი მხედარი“ და გ. გალინინის სიუიტიდან „ზოოპარკში“ ფრაგმენტს „კურდღელი“). მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ:

ა) რას განასახიერებს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოები, ცხოველების მოძრაობას თუ ხმას?

ბ) რომელმა მუსიკალურმა მახასიათებელმა (მელოდია, რიტმი, ტემპი) გიკარნახათ ეს პასუხი? ხაზი გაუსვით პასუხს.

მელოდია **რიტმი** **ტემპი**

გ) გამოთქვით ვარაუდი, რომელი ცხოველებია ასახული ამ ნაწარმოებებში?

დ) ბავშვებმა ცხრილში ამ ცხოველების ხმა/მოძრაობა უნდა გამოსახონ სიმბოლოებით.

^ ^ ^	⌒ ⌒ ⌒

აქტივობა 13

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 11); ლომის ხმა; კ. სენ-სანსი სიუიტიდან „ცხოველების კარნავალი“ – „შესავალი და ლომების სამეფო მარში“



მასწ. – ახლა მოგასმენინებთ მუსიკალურ ფრაგმენტს, რომელიც აღწერს ცხოველთა მეფეს. თქვენ კი იმოძრავეთ ამ მუსიკის თანხლებით, შეეცადეთ, ლომის მსგავსი მოძრაობები შეასრულოთ (მასწავლებელი ხაზს უსვამს ლომის თვისებებს: მიპარვა, თავდასხმა, წინა თათებით ნადავლის დაჭერა, სიარული).

პედაგოგი შეეცდება და სიმღერით გაამეორებინებს კლასს ლომის თემის ფრაგმენტს – მოტივს (I-II ტაქტი) „ლა-ლა“ მარცვლებზე.

კომენტარი:

აღნიშნული აქტივობის ელრესურსში კ. სენ-სანსის პიესა ორ ფრაგმენტად გვაქვს შემოთავაზებული. პირველი ფრაგმენტი ლომის მოძრაობას შეიძლება დავუკავშიროთ, ხოლო მეორე – მის ხმას (ღრიალს). მასწავლებელი მოასმენინებს ბავშვებს ორივე ფრაგმენტს, ხოლო მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რომელი ფრაგმენტი ასახავს ლომის მოძრაობას და რომელი – მის ხმას.

კითხვები:

- როგორი ბგერები ჟღერს მუსიკაში, ბოხი თუ წვრილი?
- ეს მუსიკა ლომის მოძრაობას აღწერს თუ მის ხმას? რატომ ფიქრობთ ასე?

მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს ლომის ხმას. ისინიც ახასიათებენ: ბოხია თუ წვრილი; ხმამაღლა ჟღერს თუ ჩუმად; უხეშია თუ ნაზი? მოსწავლეებმა, შეძლებისდაგვარად, მოძრაობითაც განასახიერონ ლომი.

კომენტარი:

იმის გათვალისწინებით, რომ შესასრულებელი კომპლექსური დავალების ერთ-ერთი პირობაა მუსიკით ცხოველის მოძრაობის ამოცნობა, ჩვენ მიერ შემოთავაზებულ აქტივობებში მუსიკაში ცხოველების/ფრინველების მოძრაობის ამოცნობაზე გავამახვილეთ ყურადღება.

აქტივობა 14-15

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 12-13); კ. სენ-სანსი სიუიტა „ცხოველების კარნავალი“ – „კენგურუ“; „აკვარიუმი“

ყველანი სხდებიან წრეზე (რბილ იატაკზე) და მუხლებში თავჩარგულნი უსმენენ მუსიკალურ ფრაგმენტს (კ. სენ-სანსი „კენგურუ“).

– ეს ფრაგმენტი ერთ-ერთ ცხოველს განასახირებს. ერთხელ კიდევ მოისმინეთ ყურადღებით და მითხარით, თქვენი აზრით, ეს ცხოველი სპილო შეიძლება იყოს თუ კენგურუ? – ბავშვები იხსენებენ, თუ როგორ მძიმედ, ნელა მოძრაობს სპილო. შესაბამისად, მოსწავლეები დაასკვნიან, რომ პიესა განასახირებს კენგურუს. განმეორებითი მოსმენის დროს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოძრავდნენ (ხტუნვა-ხტუნვით) და განასახიერონ კენგურუ.



სანოტო ტექსტის დახმარებით (დაკვრით) მასწავლებელს შეუძლია მიანიშნოს, თუ როგორი მიმართულებით მოძრაობს კენგურუს მოტივი: აღმავალი-დაღმავალი. ბგერების ამგვარი მოძრაობა შესაძლებელია გამოისახოს საფეხურებრივად – კიბე: აღმავალი და დაღმავალი.

მოსწავლეები სხდებიან წრეზე და უსმენენ პიესას „აკვარიუმი“.

როგორ მოძრაობენ თევზები? – მასწავლებელი მიანიშნებს ფარფლებზე; პატარებიც ორივე ხელისგულს შეაერთებენ და ზიგზაგისებურად აამოძრავებენ.





სამუშაო რვეულში ვთავაზობთ ხაზებს, რომელთაგან მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, თუ რომელი ხაზი რომელ მოტივს აღნიშნავს.

ეს ხაზები უნდა ისრებით დაუკავშირონ კენგურუსა და თევზებს.



სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორეინტირებული შეკითხვები:

- რომელი ხაზი დაუკავშირეთ თევზებს?
- გაიხსენეთ, როგორ განასახიერეთ აკვარიუმის თევზების მოძრაობა – ისინი ამოძრავდნენ;
- როგორ ფიქრობთ, ეს მუსიკა დიდ თევზებს აღწერს თუ პატარას? ახსენით პასუხი.
- რატომ შეუსაბამეთ კენგურუს ეს სიმბოლო?
- მუსიკაში როგორ მოძრაობს კენგურუ?

ა) სკუპ-სკუპით;

ბ) დინჯად

აქტივობა 16

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 14); ჯ. გერშვინი „ძაღლის სეირნობა“; სამუშაო რვეული

სამუშაო რვეულში ათვალიერებენ სურათს. მასწავლებელი სთხოვს პატარებს, აღწერონ, რას ხედავენ.

- სად არიან სურათის გმირები?
- ვის შეუძლია, ამ სურათის მიხედვით შეთხზას პატარა ამბავი?



მასწავლებელი ფორტეპიანოზე გააჟღერებს სანოტო ფრაგმენტის I-II ტაქტს:

მასწ. – თქვენი აზრით, რას გადმოგვცემს ეს მოტივი – სურათის გმირები მოძრაობენ თუ ადგილზე დგანან? რატომ ფიქრობთ ასე?

მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს მუსიკას და სთხოვს, აჰყვნენ ტაშით – რიტმული თანხლება გაუწიონ ორწილად ზომაში;

კომენტარი:

სამუშაო რვეულში მოსწავლეები სურათის მიხედვით შეთხზავენ ამბავს, შემდეგ წარადგენენ;

მასწავლებელი მოასმენინებს მუსიკალურ ფრაგმენტს, ხოლო პატარები უპასუხებენ კითხვებს:

- თქვენი აზრით, როგორი ძაღლი სეირნობს, დიდი თუ პატარა?
- როგორ მოძრაობს ის, დინჯად თუ სწრაფად? გრძელი ნაბიჯებით თუ მოკლე ნაბიჯებით?
- ჩერდება ხოლმე ძაღლი თუ შეუჩერებლად მოძრაობს?
- თქვენი აზრით, რა შეიძლებოდა დაენახა სეირნობის დროს ძაღლს?

III ნაბიჯი

აქტივობა 17

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 15);
ლ. ვ. ბეთჰოვენი – „ზაზუნა“.

საკითხი: როგორ დავუკავშიროთ კონკრეტული განწყობილება მუსიკის მელოდიას, დინამიკას, ტემპს, რიტმს.

ბავშვებს სამუშაო რვეულში ათვალიერებენ ა.ვატოს ნახატს „სავოიელი მუსიკოსი ზაზუნათი“. მასწავლებელი შეეცდება, მოსწავლეების დახმარებით აღწეროს, წაიკითხოს ნახატის საერთო განწყობილება:

- თქვენი აზრით, ვინ შექმნა ის, კომპოზიტორმა, მხატვარმა თუ მწერალმა?
- რას ხედავთ ამ ნახატზე?
- როგორი გამომეტყველება აქვს ნახატის პერსონაჟს – მხიარული, სევდიანი, გაბრაზებული თუ მოწყენილი?
- როგორი ხასიათის მუსიკას მიუსადაგებდით ნახატს?

ზაზუნა

ლ. ვ. ბეთჰოვენი



კომენტარი:

ლ.ვ. ბეთჰოვენის პიესის სანოტო მასალის დახმარებით მასწავლებელს შეუძლია კლასში შეასრულოს ცალკეული ეპიზოდი და მოსწავლეებთან ერთობლივად განიხილოს ის:

შეახსენოს მოსწავლეებს, რომ ზაზუნა მუსიკოსის მიერ შესრულებული მელოდიის თანხლებით ცეკვავს და ასრულებს ბრუნვით მოძრაობებს – მუსიკაში ამგვარი მოძრაობების გამომხატველია ბანის გასაღების პარტიაში ფიგურაციული მოძრაობა ტრიოლებით; მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ტაშით, შეძლებისდაგვარად, შეასრულონ ტრიოლების რიტმული ნახაზი. თავად მასწავლებელი დაუთვლის: „ე-ერ-თი, ო-ო-რი, სა-ა-მი! ე-ერ-თი, ო-ო-რი, სა-ა-მი! “

პედაგოგი სთხოვოს მოსწავლებს, მუსიკის ფონზე იმოძრაონ – წარმოიდგინონ, რომ არიან ზაზუნები და განასახიერონ ისინი.

პატარა მსმენელებს მოუწევთ სამუშაო რვეულში ამგვარი მუსიკალური ნაგებობის შევსება: მათ შესაბამისი სიტყვები უნდა შეარჩიონ და ჩაწერონ ცარიელ გრაფაში, შემდეგ კი წარადგინონ. ეს სიტყვებია: ჩუმად/ხმამაღლა; ნელა/ჩქარა; წვრილი/ბოხი ბგერები; სევდიანი/მხიარული განწყობა; მშვიდი/მოძრავი რიტმი.

აქტივობა 18

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 16); მწერების ხმები

როგორ, რა გამომსახველი ხერხებითა და საშუალებებით არის შესაძლებელი ცხოველის ქცევის, ხმის, გარეგნობის მუსიკალური დახასიათება?

მოსწავლეები სამუშაო რვეულში ათვალიერებენ მწერების სურათებს:



მასწავლებელი ასმენინებს ხმებს და ბავშვებმა თითოეული მწერის კვადრატში უნდა ჩაწერონ გაჟღერებული ხმის ნომერი.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რომელი მწერის ხმა გაჟღერდა?
- როგორი ხმა აქვს ბუზს? გადმოეცით ბუზის ხმაბაძვითი სიტყვა;
- რომელი მწერის ხმა არ გაჟღერებულა?
- რატომ არ მოვისმინეთ ამ მწერების ხმები? (ობობა, პეპელა, კალია ხმას არ გამოსცემენ).

ბავშვებმა იქვე წრეში უნდა ჩახატონ იმ მწერების სიმბოლოები, რომელთა ხმებიც გაჟღერდა.

რესურსი: ს. პროკოფიევი – საფორტეპიანო პიესა „კალიების მსვლელობა“

მასწავლებელი კვლავ ესაუბრება კლასს იმ მწერების შესახებ, რომლებიც ხმას არ გამოსცემენ (კალია, ობობა, პეპელა). ასმენინებს ერთ მუსიკალურ ფრაგმენტს, **ს. პროკოფიევის საფორტეპიანო პიესას „კალიების მსვლელობა“**. პედაგოგი სთხოვს პატარებს, ამოიცნონ, ამ სამი მწერიდან რომლის მუსიკალური დახასიათება მოისმინეს. ამისათვის მათ ერთობლივად უნდა გაიხსენონ – მართალია, ეს მწერები რაიმე კონკრეტულ ხმას არ გამოსცემენ, მაგრამ გამორჩეულად მოძრაობენ, კერძოდ: კალია ახტება-დახტება, ობობა დაცოცავს, პეპელა ფრენს. შესაბამისად, ბავშვები უნდა დააკვირდნენ მუსიკის მელოდიას, რიტმს, ტემპს.

თუკი მოსმენის პროცესში პატარა მსმენელები დააფიქსირებენ ზომიერ ტემპს, მელოდიური ინტონაციების აღმავალ-დაღმავალ სვლებს, გამოკვეთილ რიტმულ ნახაზს, ადვილი გამოსაცნობი იქნება, რომ მუსიკა კალიას განასახიერებს.

რესურსი: ე.გრიგი – საფ-ნო პიესა „პეპელა“.

მასწავლებელი აგრძელებს საუბარს იმ მწერებზე, რომელთა ხმებიც არ გაჟღერებულა განვლილ გაკვეთილზე (პეპელა, ობობა, კალია). ასმენინებს მოსწავლეებს ე.გრიგის პიესას „პეპელა“. სთხოვს, იმოძრაონ მუსიკის თანხლებით (მოსწავლეებს მოუწევთ თავისუფალი მოძრაობების შესრულება, დროდადრო მელოდია შეყოვნდება, შენელდება, შემდეგ კვლავ გაჟღერდება). იმის გათვალისწინებით, რომ წინა აქტივობაში კალიების მოძრაობის შესატყვისი მუსიკალური ფრაგმენტი ამოიცნეს და გააანალიზეს, დარჩათ ამოსაცნობი პეპელა და ობობა. ობობა დაცოცავს, ზოგჯერ თავის მიერ მოქსოვილ ქსელში გაეხვევა, ხოლო პეპელა დაფარფატებს, ფრენს ნაზად, ყვავილიდან ყვავილზე გადაფრინდება, დაჯდება, შემდეგ სხვა ყვავილს მიაშურებს და ა.შ. თუკი მასწავლებელი ამგვარად წარმართავს საუბარს, მოსწავლეებს არ უნდა გაუძნელდეთ მოსმენილ პიესაში პეპლის მოძრაობის ამოცნობა.

აქტივობა 19

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 17)

ბავშვები სამუშაო რვეულში კითხულობენ დავალების ინსტრუქციას:

წაიკითხეთ ობობისა და ბუზის დიალოგი. მოიფიქრეთ და დაასრულეთ ამბავი. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ობობის ქსელში თუ რომელიმე მწერი გაებმება, ის თავს იქიდან ვეღარ დააღწევს.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- გინახავთ ობობა? როგორ მოძრაობს, სწრაფად თუ ნელა?
- შეგიძლიათ განასახიეროთ ობობა?
- ამ ამბავში როგორი პერსონაჟი ჩანს ობობა?
- დიალოგის მიხედვით განსაზღვრეთ, მართლაც კეთილი ზრახვები აქვს ობობას თუ პირიქით, ბოროტი?
- ამ დიალოგში ბუზმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე, მოხერხებულია თუ გულუბრყვილო?

კომენტარი:

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, მოიფიქრონ და დაასრულონ ამბავი. მან ისე უნდა წარმართოს საუბარი, რომ აუხსნას: ობობას ქსელში თუ გაებმება რომელიმე მწერი, ის თავს იქიდან ვეღარ დააღწევს. მოსწავლეებმა უნდა წარადგინონ დასრულებული დიალოგი.

აქტივობა 20

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 18); ბ. ბრიტენი – „ობობა და ბუზი“

მასწავლებელი ასმენინებს **ბ. ბრიტენის ნაწარმოებს „ობობა და ბუზი“.** დასაწყისში ჟღერს თემა (საქსოფონი), რომელმაც, სავარაუდოდ, ცბიერი ობობის ასოციაცია

შეიძლება შეუქმნას მსმენელს, ხოლო შემდეგ საქსოფონს ჩაენაცვლება ვიოლინო, რაც ბუზის ბზუილის იმიტირებად შეიძლება ჩაითვალოს. მუსიკის ხასიათი მალევე იცვლება, საკრავების რაოდენობა მატულობს, ზომიერ ტემპს ჩქარი ცვლის. სწორედ მუსიკის ამგვარი ცვლილება შესაძლოა დაეხმაროს მოსწავლეებს ამბის გაგრძელებაში – მაგ., ცბიერმა ობობამ მაინც შეძლო და შეიტყუა გულუბრყვილო ბუზი. ბუზმა წინააღმდეგობა გაუწია ან ვერ გაუწია და ა.შ.

კომენტარი

ამ აქტივობის მიზანია, ტემპის, მელოდიის, ტემბრის, აგრეთვე, სიტყვიერი ტექსტის, მოტივების მეშვეობით პატარა მსმენელმა წარმოიდგინოს და აღწეროს ამბის პერსონაჟების (ობობისა და ბუზის) ქცევა, მოძრაობა, მათი ხასიათი.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

მასწ. – მოუსმინეთ მუსიკას, რომელშიც ობობასა და ბუზის დიალოგია აღწერილი, ჩქარ ტემპში ჟღერს თუ ნელში?

ვიოლინო **საქსოფონი**

- დააკვირდით ამ ინსტრუმენტებს, **საქსოფონსა და ვიოლინოს**, როგორ წარმოიშობა მათზე მუსიკალური ბგერა? როგორ იკვრება საქსოფონზე? ვიოლინოზე? – მასწავლებელი ასმენინებს ჩანაწერს და მოსწავლეებიც, შეძლებისდაგვარად, განსაზღვრავენ საქსოფონისა და ვიოლინოს ჟღერადობას.
- რომელ წინადადებას (ობობის თუ ბუზისა) დაუკავშირებდით საქსოფონის მიერ გაჟღერებულ მელოდიას? რატომ?
- მოუსმინეთ მუსიკას და იმსჯელეთ, ამ ორი საკრავიდან, ობობის ტექსტს რომელი გადმოგვცემს? – ამისათვის მასწავლებელმა საუბარი იმგვარად უნდა წარმართოს, რომ მოსწავლეებმა დასაწყისშივე განსაზღვრონ, რომელი საკრავის ტემბრი გადმოსცემს ცბიერი ობობას ხასიათს და რომელი – გულუბრყვილო ბუზის. მასწავლებელმა ისიც შეახსენოს, რომ დიალოგს იწყებს ობობა, შესაბამისად, ობობას განასახიერებს საქსოფონის ტემბრი.

- ვიოლინო იმავე მელოდიას იმეორებს, რომელსაც საქსოფონი ასრულებს თუ განსხვავებულს?
- მუსიკის სიჩქარე (ტემპი) იცვლება თუ შენარჩუნებულია?
- ივარაუდეთ, აჩქარებული მუსიკა რაზე მიგანიშნებთ? რომელი მწერის მოძრაობას უკავშირებთ მას?
- როგორი დასასრული აქვს თქვენ მიერ შეთხზულ ამბავს?
- რამდენად მიესადაგება ეს მუსიკა თქვენს თხზულებას?

პედაგოგი კვლავ ასმენინებს მუსიკას და სთხოვს მოსწავლეებს, სამუშაო რვეულში, სამკუთხედებში სიმბოლოებით გამოსახონ ობობასა და ბუზის მოტივები. შემდეგ კი წარადგინონ კლასში, აღწერონ, თუ რომელი სიმბოლო რომელ პერსონაჟს განასახიერებს.

მოტივის, რიტმის, ტემპის დახმარებით, აგრეთვე მღერით, პლასტიკისა და მიმიკის გამოყენებით ვასწავლოთ მოსწავლეებს ცხოველის გარეგნობის ან ქცევის მუსიკალური აღწერა; ვასწავლოთ ასევე სხვადასხვა სიმბოლოთი ცხოველის ხმის ან მოძრაობის ამსახველი ინტონაციის ან მოტივის გამოსახვა.

სიმღერები ცხოველებზე

აქტივობა 21

რესურსი: ამერიკული ხალხური სიმღერა **"Mary had a little lamb"**

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს ამერიკულ ხალხურ სიმღერას. იქვე ეუბნება, რომ სიმღერაში საუბარია გოგონა მერიზე, რომელსაც ჰყავს პატარა, თოვლივით თეთრი ცხვარი (ბატკანი).

მასწავლებელი პირველ ჯერზე სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით მოისმინონ, გამოიცნონ და ხელის აწევით მიანიშნონ, მათი ვარაუდით, რა დროს გაჟღერდება პატარა ცხვრის მოტივი (სავარაუდოდ, უნდა მიუთითონ II-III-IV ტაქტებზე, რომლებშიც ასეთი სიტყვები მეორდება "**Little lamb**"). ხელმეორედ შესრულებისას კი პედაგოგი სთავაზობს პატარებს, აჰყვნენ ამ სიტყვებზე. კითხვები სიმღერის შესრულების შემდეგ:

- ამ სიმღერაში პატარა ცხვრის <u>მოძრაობაა</u> გადმოცემული თუ მისი <u>გარეგნობა</u>?
- როგორ იმოძრავებს ბატკანი, შეგიძლიათ განასახიეროთ?
- შეგიძლიათ მიბაძოთ ბატკნის ხმას?..

მოსწავლეები დგებიან ორ ნახევარწრედ. პირველი ნახევარი შეასრულებს სიმღერის I-VIII ტაქტებს და იმ დროს, როდესაც ტექსტში გაჟღერდება სიტყვები Little Lamb (II-III-IV ტაქტები), დააბაკუნებენ ფეხებს. II ნახევარი კი ასრულებს სიმღერის დანარჩენ ნაწილს და ტექსტის შემდეგ სიტყვებზე Mary Went (X-XI-XII ტაქტები) ტაშით/ჩხირების კაკუნით რიტმულად აჰყვება. თითოეულ ჯგუფს შეიძლება შევურჩიოთ დირიჟორი, რომელიც საჭირო დროს გუნდს მიანიშნებს რიტმული თანხლების გაწევაზე.

მასწავლებელი სთავაზობს კლასს, მღერით/მოძრაობით აჰყვნენ აუდიოფირს.

Mary had a little lamb



აქტივობა 22

რესურსი: ს. ცინცაძე – „სიმღერა შავ კატაზე" კ/ფილმიდან „აბეზარა"

მასწავლებელი მოსწავლეებს შეასწავლის კატის ხმაზე აგებულ მოტივს „მიაუ, მიავ" (ინტონაციას) ს. ცინცაძის სიმღერიდან „შავ კატაზე" , შემდეგ თავად მღერის მელოდიას და ანიშნებს მოსწავლეებს, რა დროს გაიმღერონ ეს მოტივი. ერთობლივი მღერის შედეგად გაჟღერდება სრული მუსიკალური კომპოზიცია.

სიმღერა შავ კატაზე

ტექსტი: პ. გრუზინსკი



აქტივობა 23

რესურსი: ამერიკული ხალხური სიმღერა **"Bingo Song"**

მეტრულ-რიტმული შეგრძნებების გავარჯიშება; მელოდიის მოტივებად დაშ-ლა-დაყოფა, გამთლიანება

მასწავლებელი მღერის/ასმენინებს ამერიკულ ხალხურ სიმღერას:

– ყურადღებით მოისმინეთ ეს სიმღერა და ყველაზე მეტად რომელი მოტივიც მოგეწონებათ, ხელის აწევით მანიშნეთ.

კომენტარი:

ბუნებრივია, ყველა მოსწავლეს ერთი და იგივე მოტივი ვერ მოეწონება. ამიტომ მასწავლებელმა მინიშნება უნდა გააკეთოს: „ეს სიმღერა ერთ ძაღლზეა. აქ მისი სახელი გაჟღერდება – ჯერ სრულად, შემდეგ კი დამარცვლით".

სიმღერის სანოტო ტექსტში V-VI, VII-VIII და IX-X ტაქტებში (სეკვენცია) დამარცვლით ჟღერს ძაღლი ბინგოს სახელი **B (ბი) – I (აი) – N(ენ) – G (ჯი) – O (ოუ).**

შესაბამისად, მასწავლებელი მოსწავლეებს ამ ტექსტზე მოტივებს შეასწავლის სიმღერით. შემდეგ კი ამგვარად გაამთლიანებენ: მასწავლებელი იწყებს, ხოლო მოსწავლეები აჰყვებიან ბინგოს სახელის გამღერებისას ტექსტზე: „**B (ბი) – I (აი) – N(ენ) – G (ჯი) – O (ოუ).**"



აქტივობა 24-25

რესურსი: მექსიკური ხალხური სიმღერა **"La Kukaracha"**

რიტმული სავარჯიშო

კომენტარი: წინამდებარე რიტმული ნახაზი განვლილ გაკვეთილზე შესწავლილი სიმღერის (ბინგო) მეორე ნახევრიდან გვაქვს შერჩეული. ბავშვები ადვილად ამოიცნობენ მას.

I ეტაპი – მასწავლებელი შეასწავლის მოსწავლეებს მოსასმენი სიმღერის საწყის სიტყვებს:

„What's, what's, what's cucaracha?

It's, It's a cockroach".

(ინგლ. „რა არის, რა არის, რა არის კუკარაჩა?

ეს არის, ეს არის ტარაკანა".)

II ეტაპი – მასწავლებელი ასმენინეს და უჩვენებს ვიდეოფირს და სთხოვს მოსწავლეებს, აჰყვნენ სიღერითა და მოძრაობით იმ დროს, როდესაც ამოიცნობენ მათთვის ნაცნობ მოტივსა და სიტყვებს.



Six Little Ducks



მოსწავლეები დგებიან წრეზე, მათ, სურვილისამებრ, გამოეყოფა ექვსი „პატარა ბატი“, რომლებიც ტაშით რიტმულ თანხლებას გაუწევენ მომღერლებს.

აქტივობა 26
ზღაპრის გახმოვანება
რესურსი: ფორტეპიანო

მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს პატარა ამბავს: „ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას გოგონამ ტყეში გაისეირნა. ყვავილებით მოფენილ მდელოზე რომ გავიდა, ისე მოიხიბლა ბუნების სილამაზით, რომ მღერის სურვილი გაუჩნდა. აი, ასეთი მოტივი წაიმღერა:



დე – ლა ო-დე-ლა და ო-დე-ლა ო დე – ლა

ასე მღერა-მღერით ისეირნა გოგონამ ტყეში. ტყის ბინადრებმა რომ მოისმინეს ეს ლამაზი და მხიარული მოტივი, ყველამ თავისებურად გაიმეორა:

ეს ცხოველებია: დათვი, კურდღელი და ბულბული. მასწავლებელი დაუკრავს სამ მოტივს:

1.



ო – ო – დე – ლა

2.



დე – ლა დე-ლა დე-ლა

3.



დე – ლა ო-დე-ლა და

იგი სთხოვს კლასს, გამოიცნონ, რომელი მოტივი რომელ ცხოველს შეესაბამება.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები:

- პირველი მოტივი რომელ ცხოველს დაუკავშირეთ? ახსეთ პასუხი;
- როგორი რეგისტრის ბგერები ჟღერს ამ მოტივში, დაბალი (ბოხი) თუ მაღალი (წვრილი)?
- როგორ მოძრაობს ეს ცხოველი:

ა) მძიმედ ბ) მსუბუქად;

- მეორე მოტივი როგორ ტემპში ჟღერს?
- ეს მოტივი ცხოველის მოძრაობას აღწერს, გარეგნობას თუ ხმას?
- ყველაზე წვრილი ბგერები რომელ მოტივში გაჟღერდა?
- რომელ მოტივში მოისმინეთ გაბმული ბგერები?
- რომელ ცხოველს დაუკავშირეთ ეს მოტივი?
- ყველაზე მეტად რომელი მოტივი მოგეწონათ: გოგონასი, დათვის, კურდღის თუ ბულბულისა?
- რომელია ამათგან თქვენთვის ყველაზე სასიამოვნო?

კომენტარი:

მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს კლასს, შეარჩიონ გოგონას, დათვის, კურდღლისა და ბულბულის როლის შემსრულებლები და გაითამაშონ (გაახმოვანონ) ეს ამბავი. ამისათვის თითოეული როლის შემსრულებელს მასწავლებელმა უნდა შეასწავლოს თავისი მოტივი:

დათვმა – დაბალი, ბოხი ხმით, მძიმედ, შენელებულ ტემპში გაბერილი ლოყებითა და ბაჯბაჯით გაიმღეროს მოტივი;

კურდღელმა – მაღალი, წვრილი ხმითა და სკუპ-სკუპით, მკვირცხლად იმოძ-რაოს;

ბულბულმა კი – სტვენით, გაბმული ბგერებით, ფრენა-ფრენით გაიმღეროს...

ამის შემდეგ საინტერესოა ბავშვების განწყობის გარკვევა.

კომენტარი:

ამგვარად, მოსწავლეებს მოტივის, რიტმის, ტემპის დახმარებით ვასწავლით, თუ როგორ უნდა აღწერონ/განასახიერონ მათ ცხოველის გარეგნობა, ხმა ან ქცევა.

II თავი

თემა: ბუნების მოვლენები მუსიკაში

კომპლექსური დავალება №2 – აქტივობა 47-51

(სამუშაო რვეული დავალება 31)

კომპლექსური დავალების პირობა	გრძელვადიანი მიზნები
საკითხი: მუსიკით ბუნების მოვლენის აღწერა **პირობა:** **მოცემული მუსიკალური ფრაგმენტებით და ხმის ეფექტებით შექმენით მუსიკალური კომპოზოცია და აღწერეთ სურათებზე ასახული ბუნების მოვლენები.** **პრეზენტაციის დროს წარმოაჩინეთ:** • **ხმის ეფექტებით აღწერეთ ბუნების მოვლენა;** • **რა მუსიკალური ფრაგმენ-ტებით აღწერეთ ბუნების მოვლენები;** • **როგორ დაახასიათეთ მუსი-კალური კოლაჟი.** **დამხმარე რესუსი:** 12 აუდიოფირი.	**სამიზნე ცნება:** მუსიკა **შედეგი:** მუს. დაწყ. (I) 2,4,5 **ქვეცნებები:** ბგერის სიძლიერე (ხმამაღლა, ხმადაბლა, ფორტე, პიანო); ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები); ბგერის სიმაღლე (წვრილი, საშუალო, ბოხი; მაღალი, დაბალი რეგისტრი); ბგერის ტემბრი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასი-ამოვნო). **სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:** • მუსიკა მოიცავს ყველაფერს, რაც გვე-სმის (ხმა, ხმაური), რაც ატარებს თავის განწყობას, შინაარსს და იწვევს ჩვენში გარკვეულ განცდას; • ხმა, ხმაური, მელოდია, რიტმი, ჰარმონია და ფორმა მუსიკის მთავარი მახასიათე-ბლებია; • მუსიკალურ ნაწარმოებებს აქვს დასაწ-ყისი, შუა ნაწილი და დასასრული.

პირობა: მოცემული მუსიკალური ფრაგმენტებით და ხმის ეფექტებით შექმენით მუსიკალური კომპოზიცია და აღწერეთ სურათებზე ასახული ბუნების მოვლენები, წარუდგინეთ კლასს.

ინსტრუქცია:

- **ხმის ეფექტებით აღწერეთ ბუნების მოვლენა.**

ა) დააკვირდით, რატომ არის ასე განლაგებული სურათები;

ბ) ბუნების რომელი ორი მოვლენაა ასახული ამ სურათებზე?

გ) შეუსაბამეთ ხმის ეფექტები სურათებზე ასახული ბუნების მოვლენებს;

დ) ჩაწერეთ №1 და №2 ცხრილებში ხმის ეფექტის ნომერი სათანადო სურათის ქვეშ ცარიელ უჯრაში.

ცხრილი 1.

ხმის ეფექტი №	**ხმის ეფექტი** №	**ხმის ეფექტი** №

ცხრილი 2.

ხმის ეფექტი №	**ხმის ეფექტი** №	**ხმის ეფექტი** №

- **რომელი მუსიკალური ფრაგმენტებით აღწერეთ ბუნების მოვლენები**?

ა) მუსიკალური ფრაგმენტები დაახარისხეთ სურათებზე ასახული ბუნების მოვლენებს;

ბ) ჩაწერეთ №3 და №4 ცხრილებში მუსიკალური ფრაგმენტების ნომერი სათანადო სურათის ქვემოთ ცარიელ უჯრაში.

ცხრილი 3.

მუსიკალური ფრაგმენტი №	**მუსიკალური ფრაგმენტი** №	**მუსიკალური ფრაგმენტი** №

ცხრილი 4.

მუსიკალური ფრაგმენტი №	**მუსიკალური ფრაგმენტი №**	**მუსიკალური ფრაგმენტი №**

4. ახლა კი, გაამთლიანეთ ცხრილები ორ სქემაში: ბუნების მოვლენების მიხედვით, დაასათაურეთ თქვენ მიერ შექმნილი კომპოზიციები და წარუდგინეთ თანაკლასელებს.

სქემა 1.



სქემა 2.



- **როგორ დავახასიათოთ მუსიკალური კომპოზიცია**?

ა) იმსჯელეთ, რა განწყობის კომპოზიცია გამოვიდა;

ბ) იმსჯელეთ, განსხვავდება თუ არა კომპოზიციის ნაწილები ერთმანეთისაგან. თუ განსხვავდება, რა მახასიათებლებით?

გ) იმსჯელეთ, რომელი კომპოზიცია უფრო კარგად აღწერს ბუნების მოვლენას და რატომ?

დ) რომელი კომპოზიცია უფრო მოგწონთ და რატომ?

ე) დაასათაურეთ თითოეული მუსიკალური კომპოზიცია და ჩაწერეთ უჯრაში მისი სათაური.

რას ვაფასებთ?

აღწერა	
ბავშვი მუსიკალური მახასიათებლებით უსადაგებს ფრაგმენტს ბუნებრივ მოვლენას;	
მუსიკის მახასიათებლების მიხედვით აღწერს ბუნებრივ მოვლენას;	
ალაგებს შერჩეულ ფრაგმენტებს სურათების მიხედვით;	
ახსნა	
ხსნის, თუ რის მიხედვით შეურჩია სურათებს ხმის ეფექტები;	
ხსნის, თუ რის მიხედვით შეურჩია სურათებს მუსიკალური ფრაგმენტები;	
ხსნის, თუ რატომ დაალაგა გარკვეული თანმიმდევრობით მუსიკალური ფრაგმენტები;	
შეფასება	
აფასებს, რამდენად გაართვა დავალებას თავი;	
წარდგენის დროს გადმოსცემს თავის დამოკიდულებებს.	

პრაქტიკული რჩევები – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები
I ეტაპი (კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა)

	რა აქტივობებს განვახორციელებთ	**რა კითხვებზე ვმუშაობთ?**	**როგორაა დაკავშირებული კომპლექსურ დავალებასთან?**
I ეტაპი კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა	**მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** თემაში შესვლისა და განწყობის შექმნის მიზნით, აგრეთვე, იმისათვის, რომ დავაფიქროთ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებაზე, მასწავლებელი წინარე ცოდნაზე დაფუძნებით განახორციელებს რამდენიმე აქტივობას, მაგალითად, რადგან შესავსებ ცხრილში მოსწავლეებს მოუწევთ სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენის ხმების ამოცნობა, ისინი საწყის ეტაპზე გაიხსენებენ და ჩამოთვლიან მათთვის ნაცნობ ბუნებრივ მოვლენებს. შეიძლება შესასრულებელი კომპლექსური დავალების პირობაში მოცემული სურათების მიხედვით ამოიცნონ, თუ რომელი ბუნებრივი მოვლენაა მასზე ასახული, რა ხმებით გამოარჩევენ დილას საღამოსგან, წვიმას ქარისგან და ა.შ.	• რა არის ასახული ცხრილში? • თქვენი აზრით, რა მიზნითაა შექმნილი ეს ცხრილი? • თქვენი აზრით, როგორ უნდა იმუშაოთ ამ ცხრილზე? • გიმუშავიათ მსგავს ცხრილზე? • გამოთქვით ვარაუდი, როგორ შეავსებთ ცხრილს? და ა.შ. • როგორი ხმები გესმით, ბოხი თუ წვრილი? • ეს ხმა ჩუმად გაჟღერდა თუ ხმამაღლა?	კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე, პრინციპის, მარტივიდან რთულისაკენ, გათვალისწინებით, წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეები შეასრულებენ არცთუ ისე რთულ დავალებებს, რაშიც მასწავლებელი მათ დახმარებას გაუწევს, ვინაიდან ეს გაკვეთილები იქნება პატარების პირველი გააზრებული შეხება მუსიკასთან/ ხმებთან.

კომენტარი:

გასათვალისწინებელია, რომ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ინსტრუქცია რამდენიმე ეტაპისგან შედგება, კერძოდ:

ა) ხმის ეფექტებით ბუნების მოვლენების აღწერა;

ბ) მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტებით ბუნების მოვლენის აღწერა;

გ) შექმნილი კომპოზიციის აღწერა/წარდგენა.

მასწავლებელს ვთავაზობთ, თითოეული ეტაპის განხორციელების დროს არ იჩქაროს, საფუძვლიანად განიხილოს პატარებთან ერთად თითოეული საკითხი, მაგალითად, დასაწყისში მოსწავლეები დააკვირდებიან სურათების განლაგებას ორივე ცხრილში. მასწავლებელი მიანიშნებს თანმიმდევრობას, რომ ღამეს მოსდევს დილა, შემდეგ დღე (ცხრ.1), ხოლო მეორე ცხრილის მიხედვით, ჯერ ქარი დაუბერავს, შემდეგ გაწვიმდება და ბოლოს – შეწყდება. ამგვარად, ვფიქრობთ, პატარებს არ გაუძნელდებათ მოსმენილი ხმების ამოცნობა და ბუნების მოვლენებთან დაკავშირება.

სამუშაო რვეულში შესასრულებელი კომპლექსური დავალების ინსტრუქციიდან მხოლოდ ის დავალებებია მითითებული, რომლებიც ბავშვმა ეტაპობრივად უნდა განახორციელოს, კერძოდ:

1. ხმის ეფექტებით ბუნების მოვლენის აღწერა

- მოსწავლე დააკვირდება №1 და №2 ცხრილებს და მასწავლებლის დახმარებით გამოიცნობს ბუნების ორ მოვლენას (დღე-ღამის მონაცვლეობა და ამინდის ცვლილება);
- მასწავლებელი მოასმენინებს ექვს ხმის ეფექტს (ფირები 1,2,3,4,5,6), ხოლო მოსწავლეებმა გაჟღერებული ხმების ნომრები უნდა დაახარისხონ ორივე ცხრილის სურათებზე ასახული ბუნების მოვლენების შესაბამის გრაფაში.

2. მუსიკალური ფრაგმენტებით ბუნების მოვლენების აღწერა

- მასწავლებელი ასმენინებს ექვს მუსიკალურ ფრაგმენტს (ფირები 7,8,9,10,11,12), მოსწავლეებმა გაჟღერებული ფრაგმენტების ნომრები უნდა დაახარისხონ №3 და №4 ცხრილების ბუნების მოვლენების შესაბამის გრაფაში.

3. როგორ დავახასიათოთ მუსიკალური კომპოზიცია?

ა) იმსჯელეთ როგორი განწყობის კომპოზიცია შექმენით?

ბ) განსხვავდება თუ არა ორი სხვადასხვა ბუნების მოვლენის კომპოზიციის ნაწილები? – ბავშვმა უნდა აღწეროს ორივე კომპოზიციის ჯერ ხმის ეფექტები (ღამის, დილის, შუადღის, ამინდის ცვლილების ხმები), ისაუბროს როგორი ხმები მოისმინა, რაზე მიანიშნებდა კონკრეტული ხმა და ა.შ. ხოლო შემდეგ ისაუბროს მუსიკალურ ნაწილზე.

გ) რომელი კომპოზიცია უფრო კარგად აღწერს ბუნების მოვლენას და რატომ? დ) რომელი კომპოზიცია უფრო მოსწონთ და რატომ? ე) და ბოლოს, დაასათაურონ კომპოზიციები. იმისათვის, რომ დაბნეულობა არ გამოიწვიოს ოთხი სხვადასხვა ცხრილის მონაცემების წარდგენამ, მოსწავლეებს შევთავაზოთ გაამთლიანონ ცხრილები ორ სქემაში ბუნების მოვლენების მიხედვით, დაასათაურონ კომპოზიციები და წარუდგინონ თანაკლასელებს.

II ეტაპი
ნაბიჯი 1 – როგორ ამოვიცნოთ და აღვწეროთ ბუნებრივი მოვლენები მოსმენილი ხმების მიხედვით (აქტ. 32-35);
ნაბიჯი 2 – ილუსტრაციების, მათი აღმწერი ტექსტის, ხმების გრაფიკული გამოსაუხ-ულებებისა და მუსიკის შესაბამისობების დადგენა (აქტ. 36-45);
ნაბიჯი 3 – კომპლექსური დავალების წარდგენა (აქტ. 47-51)

აქტივობა 32

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 20); ხმები (ფირი №1, 2, 3, 4)

მოსწავლეები სამუშაო რვეულში ათვალიერებენ სურათებს, რომლებზეც გამოსახულია ბუნების მოვლენები (ქარი, წვიმა, თოვლი, ჭექა-ქუხილი, ტყის ხანძარი). მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს ამ მოვლენების ამსახველ ხმებს. მოსწავლეებმა გაჟღერებული ხმის ეფექტის ნომერი სამკუთხედში უნდა ჩაწერონ.





სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- როგორ ფიქრობთ, ყველა ბუნებრივ მოვლენას აქვს მისთვის დამახასიათებელი ხმა?
- აქ წარმოდგენილი სურათებიდან, რომელი ბუნებრივი მოვლენის ხმა არ მოგისმენიათ? (თოვლი)
- შეგიძლიათ წარმოთქვათ ბუნებრივი მოვლენების ხმაბაძვითი სიტყვები, მაგალითად, გაახმოვანოთ წვიმა? (წკაპ-წკუპ) ქარი? (უუუუუუუუ) ფოთლების შრიალი? (შრრრრრრ)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სამუშაო რვეულში განთავსებულ **<u>სამკუთხედებში</u>** გამოსახონ ქარის ხმის სიმბოლო.

კომენტარი:

იმისათვის, რომ მოსწავლეებს არ გაუძნელდეთ აღნიშნული ბუნებრივი მოვლენის ხმის გამოსახვა, მასწავლებელს შეუძლია თავად გაახმოვანოს ქარი „უ“ ხმოვანზე – აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით. სავარაუდოდ, ხაზს ასეთი ფორმა შეიძლება მიეცეს:



დამატებითი აქტივობა 33-34

რესურსი: ქართული ხალხური სიმღერა „ლაზარე“; წვიმის ხმა

ამინდისა თუ უამინდობის თემის განხილვის მიზნით, მასწავლებელს ვთავაზობთ, გააცნოს ძველი ქართული რიტუალი „ლაზარობა“ და ბავშვებს შეასწავლოს ეს სიმღერა.

ინფორმაცია მასწავლებელს:

„ლაზარე“ ამინდის წარმართული ღვთაებისადმი მიძღვნილი სიმღერა-საგალობელია. გადმოცემით, სიმღერაში ნახსენები ლაზარე ის პიროვნებაა, რომელიც ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა და რომელსაც ამინდის რეგულირების უნარი შესწევდა. რაც შეეხება სიმღერის მუსიკალურ მხარეს, იგი ქრისტეს შობამდე ადრეა შექმნილი. ამ მელოდიის თანხლებით ძველად საქართველოში გარკვეული რიტუალი ტარდებოდა (კარდაკარ სიარულის დროს გონჯა თოჯინისა და მონაწილეთა წყლით გაწუწვა, უღელშებმული დედაკაცების მიერ ღელესა და მდინარეში გუთნის გატარება-გათოხვნა და სხვა). ეს საგალობელი, ძირითადად, ქართლ-კახეთშია გავრცელებული, სადაც გვალვისა და ხშირი წვიმიანობის ხელშემწყობი კლიმატური პირობები რეალურად არსებობს.

ლაზარეს სადიდებელ რიტუალში მონაწილეობდნენ ქალები და ბავშვები: ერთ-ერთ ბავშვს ხელში ეჭირა თიხისგან გამოძერწილი ან ხისგან გამოთლილი კაცის ფიგურა ან ნაჭრისგან შეკერილი თოჯინა, რომელიც ამინდის ღმერთს, ლაზარეს, განასახიერებდა. გვალვის დროს ამ თოჯინით დადიოდნენ კარდაკარ და თან მღეროდნენ სიმღერას, რომელსაც ასეთი ტექსტი აქვს:

„ახ, ლაზარე, ლაზარე,
ცას ღრუბელი მოჰგვარე,
აღარ გვინდა მზის თვალი,
ღმერთო, მოგვე ცის ნამი.
აღარ გვინდა გორახი,
ღმერთო, მოგვე ტალახი“.

სახლის პატრონი მოისმენდა თუ არა სიმღერას, მაშინვე წყალს გადაასხამდა ლაზარეს, რის შემდეგაც ჯგუფი სხვის კარზე გადაინაცვლებდა ხოლმე. კახეთში ასეთ რიტუალს „გონჯაობას“ უწოდებდნენ, თოჯინასა და სიმღერას „გონჯა“ ერქვა.

მოჭარბებული წვიმიანობის შემთხვევაში კი ასეთ ტექსტს მღეროდნენ:

„ახ, ლაზარე, ლაზარე,
ცას ღრუბელი აჰყარე,
აღარ გვინდა ცის ნამი,
ღმერთო, მოგვე მზის თვალი.
აღარ გვინდა ტალახი,
ღმერთო, მოგვე გორახი“.

მასწავლებელს შეუძლია, ტექსტისა და მელოდიის მეტ-ნაკლებად შესწავლის შემდეგ, სიმღერის ინსცენირება განახორციელოს – აქ ერთი განწყობილებაა გადმოსაცემი: „მზის თვალით“ და „ცის ნამით“ გამოწვეული სიხარული.



I ვარიანტი

ახ, ლაზარე, ლაზარე,
ცას ღრუბელი აჰყარე!
აღარ გვინდა ცის ნამი,
ღმერთო, მოგვე მზის თვალი!
აღარ გვინდა ტალახი,
ღმერთო, მოგვე გორახი!

II ვარიანტი

ახ, ლაზარე, ლაზარე,
ცას ღრუბელი მოჰგვარე!
ღმერთო, მოგვეც ცის ნამი,
აღარ გვინდა მზის თვალი!
ღმერთო, მოგვე ტალახი,
აღარ გვინდა გორახი!

კომენტარი:

სიმღერის ტექსტის ორივე ვარიანტის შესრულების/შესწავლის შემდეგ, მასწავლებელმა უნდა ჩართოს ფირი და პატარებს მოასმენინოს წვიმის ხმა. ბავშვები ხმის მიხედვით უნდა მიხვდნენ და შეასრულონ ტექსტის მეორე ვარიანტი „აღარ გვინდა მზის თვალი, ღმერთო, მოგვე ცის ნამი“.

აქტივობა 35

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 21); მ. რაველი – სიუიტა „დაფნისი და ქლოეა“, „მზის ამოსვლა“ (ფირი №1, 2)

ა) ბავშვები სამუშაო რვეულში ათვალიერებენ სურათებს, აღწერენ, გამოთქვავენ ვარაუდს, რა არის სურათებზე გამოსახული; როგორი ემოცია, განწყობა, როგორი ამინდია გადმოცემული თითეულ ნახატზე; როგორი ფერები ჭარბობს გაზაფხულის პეიზაჟზე და ა.შ.

ბ) მასწავლებელი წაიკითხავს ტექსტს მ. რაველის სიუიტის „დაფნისი და ქლოეა“: „მზის ამოსვლა“ ფონზე. იგი კითხულობს გამომსახველად, ნელა, ამაღლებული განწყობით:

„დილის მზემ გამოანათა. თავისი სხივებით ხის ტოტებზე შემომსხდარ ჩიტებს გაეთამაშა: გაიღვიძეთ, ფრინველებო! შემდეგ კი ფანჯრებშიც შეანათა – <u>გაიღვიძეთ, ადამიანებო! ახალი დღე დაიწყო...</u>“ – ბოლო ფრაზა მოსწავლეებმა უნდა გაიმეორონ 2-ჯერ, ამ დროს მუსიკა ფორტეზე ჟღერს, რაც ამაღლებულ განწყობას შექმნის.

გ) სასურველის, მოსწავლეებმა აღწერონ, თუ რა შეგრძნებები დაეუფლათ; წაკითხული დაუკავშირონ ერთ-ერთ ნახატს.

აქტივობა 36

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 22); ლ. ვ. ბეთჰოვენი – სიმფონია №6 „პასტორალური“, IV ნაწილი; ე. გრიგი „დილა“; ხმები

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს ხმებს, შემდეგ კი მუსიკალურ ფრაგმეტებს, რომლებშიც მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ ქარიშხლის დროს წარმოქმნილი ჭექა-ქუხილისა და მზიანი, გაზაფხულის ამინდის ამსახველი ხმები და ბგერები. მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ მუსიკალური ფრაგმენტების ნომერი სათანადო სურათის სამკუთხედში.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რომელი ნომრით მონიშნეთ მზიანი ამინდის ამსახველი მუსიკალური ფრაგმენტი?
- რა ნიშნით ჩათვალეთ, რომ ეს მუსიკა მზიანი დღის გათენებას აღწერს?
- მელოდია მდორედ მოძრაობს თუ ნახტომისებურად?
- მელოდია აღმავალია თუ დაღმავალი?
- როგორ ტემპში ჟღერს განთიადის ამსახველი მუსიკა?
- თქვენი აზრით, მზე სწრაფად ამოდის თუ მშვიდად, ნელა?
- მოსმენილთაგან რომელი მუსიკალური ფრაგმენტი იყო ყველაზე სასიამოვნო? რატომ?

ა) მშვიდია;

ბ) სწრაფია;

გ) მხიარულია.

- რომელი ფრაგმენტი არ გესიამოვნათ? რატომ?

ა) ხმაურიანია;

ბ) საშიშია;

გ) ძირითადად, დაბალი რეგისტრის (ბოხი) ბგერები ჟღერდა.

აქტივობა 37

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 23)

მოსწავლეები სამუშაო რვეულში ათვალიერებენ სურათებს, რომლებზეც წარმოდგენილია ბუნებრივი მოვლენები: წყარო, ზღვის ტალღები და ჩანჩქერი. პედაგოგი სთხოვს პატარებს, აღწერონ ეს სურათები (რას ხედავთ აქ?).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ხაზებით სურათების დაკავშირებას გრაფიკულ გამოსახულებებთან.

ამ ნიშნებით კი წარმოდგენილია თითოეული აქ განსახილველი ბუნებრივი მოვლენის ხმის (წყაროს რაკრაკის, ზღვის ტაღების შრიალის, ჩანჩქერის ხმაურის) გრაფიკული გამოსახულება.




სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- როგორ ფიქრობთ, თითოეული ნიშანი/სიმბოლო ბგერას აღნიშნავს თუ ხმას/ ხმაურს?
- ამათგან რომელი სიმბოლო მიუთითებს ხმამაღალ ბგერას ან დიდ ხმაურს? რატომ ფიქრობთ ასე?
- რომელ სურათს დაუკავშირეთ ეს სიმბოლოები? ახსენით, რატომ დაუკავშირეთ?
- ამ ნიშანთაგან, რომელია ყველაზე მსხვილი? რომელ მოვლენას დაუკავშირებდით წყაროს რაკრაკს თუ ჩანჩქერს? ახსენით პასუხი.

აქტივობა 38

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 24); ზღვის ტალღების, წყაროს რაკრაკისა და ჩანჩქერის ხმები(ფირი №1, 2, 3)

ახლა კი, დროა, მოსწავლეებმა მოსმენილი ხმები დაუკავშირონ გრაფიკულ გამოსახულებებს.



ხმა №1



ხმა №2

ხმა №3

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რომელი სიმბოლო დაუკავშირეთ პირველ ხმას?
- შესაბამისად, რომელ სურათს უკავშირდება პირველი ხმა?
- მოსმენილთაგან რომელ ხმას დაუკავშირებდით ზღვის ტალღებს?
- როგორ ფიქრობთ, ზღვის ტალღების მოქცევა მღელვარეა თუ მშვიდი?
- რომელი ხმა მოგეჩვენათ სასიამოვნოდ? რატომ?
- რას გახსენებთ თქვენ მიერ მოსმენილი სასიამოვნო ხმა?

ა) ლამაზ, მზიან ამინდს;

ბ) გაზაფხულის შხაპუნა წვიმას;

გ) სხვა

აქტივობა 39

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 25); მუსიკალური ფრაგმენტები (ფირი №1, 2, 3)

მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს მუსიკალურ ფრაგმენტებს. მოსწავლეებს კი მოუწევთ სამუშაო რვეულში მართკუთხედებში, თითოეული ფრაგმენტის ნომრის ქვეშ ჩახატონ სიმბოლოები, რომლებითაც გამოსახავენ მოსმენილ მუსიკას.

კომენტარი:

ვფიქრობთ, სწავლების ამ ეტაპზე მოსწავლეებს მეტ-ნაკლებად გამოუმუშავდათ მუსიკის სხვადასხვა სიმბოლოთი გამოსახვის უნარ-ჩვევა.

მასწავლებელს შეუძლია, საჭიროებისამებრ, არაერთი გაკვეთილი დაუთმოს ამ უნარ-ჩვევების განმტკიცებასა და განზოგადებას. ამისათვის შეარჩევს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებებიდან ერთ-ერთს და სთხოვს წყვილებს, სახატავ რვეულში, ნახატში გადმოსცენ მუსიკის მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება და ამგვარად მოსმენილი ფრაგმენტის ერთგვარი „მუსიკოგრამა“ შექმნან, სიმბოლოებით გამოსახონ მუსიკა.

მომდევნო გაკვთილზე კი მასწავლებელმა შეარჩიოს და მოასმენინოს პატარებს მათთვის უცნობი მუსიკალური ფრაგმენტი.

თითოეული დავალების შესრულების შემდგომ განხორციელდება წარდგენა, პრეზენტაცია. მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ, თუ რა ემოცია გაუჩნდათ მოსმენის დროს, რატომ გამოიყენეს ესა თუ ის სიმბოლო.

1	2	3

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

• რას აღნიშნავს სიმბოლო, რომლითაც მონიშნეთ პირველი ფრაგმენტი?

• აღწერეთ მეორე ფრაგმენტის სიმბოლო; მესამე ფრაგმენტის სიმბოლო.

• მოსმენილთაგან რომელი მუსიკალური ფრაგმენტი იყო ყველაზე სასიამოვნო? რატომ?

ა) მშვიდია;

ბ) სწრაფია;

გ) ხმამაღლა ჟღერს.

• რომელი ფრაგმენტი არ გესიამოვნათ? რატომ?

ა) ხმაურიანია;

ბ) საშიშია.

აქტივობა 40

რესურსი: მეწყერის დროს წარმოქნილი ხმები (ფირი №1, 2, 3, 4); სამუშაო რვეული (დავალება 26)

ინფორმაცია

მეწყერი – ეს არის მიწის მასების ან ქანების ფენის მოწყვეტა და გადაადგილება მთის კალთაზე ან ფერდობზე სიმძიმის ძალის გავლენით. მეწყერი დიდ ზიანს აყენებს მეურნეობას. მასთან ბრძოლის ეფექტური სშუალებაა მთის კალთების გატყიანება, საინჟინრო ნაგებობებით გამაგრება.

მასწავლებელი ასმენნებს კლასს მეწყერის დროს წარმოქმნილ ხმებს: დასაწყისი – გაგრძელება – დასასრული. მოსწავლეები სამუშაო რვეულში აღწერენ ნახატებს, გაარკვევენ, რომელ ნახატზე მეწყერის რომელი ეტაპია, დასაწყისი, გაგრძელება თუ დასასრული. მონიშნავენ თითოეული ეტაპის ხმას. განმეორებითი მოსმენის დროს განსაზღვრონ, როგორი ხმა იყო დასაწყისში შემდეგ შუაში, და, ბოლოს – დასასრულს.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

• მოსმენილ სამ ფირზე მეწყერის ხმა სხვადასხვაგვარად გაჟღერდა თუ უცვლელად?

• მოისმინეთ განმეორებით და დააკვირდით, როგორი ხმა ისმის დასაწყისში, შუასა და ბოლოში?

• დააკვირდით ამ სურათებს, რომლებზეც წარმოდგენილია მეწყერის დასაწყისი, გაგრძელება (შუა ნაწილი) და დასასრული. შემდეგ კვლავ მოისმინეთ ხმები და განსაზღვრეთ, რომელი ხმა რომელ ეპიზოდს მიესადაგება. მეწყერის დასაწყისის ხმის ნომერი მიუწერეთ პირველ სურათს, მეწყერის გაგრძელების ხმისა – მეორე სურათს, ხოლო დასასრულის, უკვე ჩამოშლილი მთის ხმის ნომერი მიუწერეთ მესამე სურათს.



• როგორ გამოიცანით დასაწყისი?

• დააკვირდით ამ ნიშანს, რომელ ეპიზოდს აღნიშნავს, დასაწყისის, გაგრძელების თუ დასასრულისა? ახსენით თქვენი პასუხი.



ამ ჩარჩოში კი თავად ჩახატეთ, როგორი სიმბოლოთი გამოსახავდით შუა ნაწილს:

რატომ ჩახატეთ ასე? ახსენით, როგორ აღწერდით შუა ნაწილის ხმას.

აქტივობა 41

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 27); მუსიკალური ფრაგმენტები **(ფირი** 1, 2, 3**)**

მასწავლებელი ასმენინებს კლასს სამ მუსიკალურ ფრაგმეტს და სთხოვს, ერთ-ერთი შეუსაბამონ მეწყერს. ფრაგმენტის ნომერი შემოხაზონ.

1 **2** **3**

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

• რომელი მუსიკალური ფრაგმენტი შეუსაბამეთ მეწყერს? ახსენით თქვენი პასუხი;

• რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში შეიგრძენით საცეკვაო რიტმი?

• რომელი მუსიკალური ფრაგმენტი დაიწყო დაბალ ხმაზე, შემდეგ ხმა გაძლიერდა და ბოლოს მიილია?

• რომელი მუსიკალური ფრაგმენტი იყო ყველაზე მღელვარე?

აქტივობა 42

რესურსი: ცეცხლის ხმები (ფირი 1, 2, 3); სამუშაო რვეული (დავალება 28)

წინა აქტივობების დახმარებით მოსწავლეებს ერთგვარად ვასწავლეთ ხმებით ბუნების მოვლენის ამოცნობა. ამ ეტაპზე კი შევეცდებით, ვასწავლოთ ხმებით ამ მოვლენების აღწერა.

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს სამ სხვადასხვა ხმას:

1) ცეცხლის მოკიდება; 2) ცეცხლი გაზქურაზე; 3) ტყეში ხანძარი გაჩნდა.

კომენტარი:

მოსწავლეებმა, შეეცადონ და, განასხვავონ მოსმენილი ხმები და შეუსაბამონ კონკრეტულ განმარტებებს. აგრეთვე, განსაზღვრონ, ამათგან რომელია ბუნებრივი მოვლენა.

კითხვები პირველი ფირის (ცეცხლის მოკიდება) მოსმენის შემდგომ:

• გამოიცანით, რისი ხმა იყო?

• რა განცდა დაგეუფლათ, როდესაც ეს ხმა მოისმინეთ?

ა) შიში

ბ) სიხარული

გ) წუხილი

დ) სხვა

• როგორ გაიჟღერა ამ ხმამ, ნელ-ნელა დაიწყო და გაძლიერდა თუ თავიდანვე ძლიერი იყო?

• როგორ გამოსახავდით ამ ხმას, ჩახატეთ ამ ოთხკუთხედში:

კითხვები მეორე ფირის (ცეცხლი გაზქურაზე) მოსმენის შემდგომ:

- რა გაიგონეთ ამ ხმის გაჟღერების დროს?
- პირველად გაჟღერებულ ხმას ჰგავს თუ განსხვავდება?

კითხვები მესამე ფირის (ტყის ხანძარი) მოსმენის შემდგომ:

- სად ისმის ასეთი ხმა?
- რა მინიშნება იყო ამ ფირზე ამისთვის?
- გამოიცანით, რომელი ბუნებრივი მოვლენის დასაწყისის ხმა გაიგონეთ?
- მოსმენილთაგან რომელი ფირი მიუთითებდა ბუნებრივი მოვლენის, ტყის ხანძრის დასაწყისს?
- როგორ, რა ნიშნით ამოიცანით ტყეში გაჩენილი ხანძრის ხმა?
- რა განცდა გამოიწვია ტყეში ცეცხლის აალების ხმამ?

აქტივობა 43-44

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 29); ტყის ხანძრის ხმები (ფირი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7)

ა) ილუსტრაციების აღმწერი ტექსტის თითოეული წინადადება ჩასმულია ჩარჩოში, მას ებმის სათანადო სურათი. მასწავლებელი წაიკითხავს ტექსტს, მოსწავლეები კი სამუშაო რვეულში დააკვირდებიან თითოეული ტექსტის შესატყვის სურათს, ილუსტრაციას.

მასწავლებელი ასმენინებს აუდიოფირებს (1, 2, 3, 4, 5), ხმებს, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეუსაბამონ ტექსტებსა და მათ ილუსტრაციებს.

ზაფხულის მშვენიერი დღე იდგა და ტყის ბინადრების ჩვეული ფუსფუსის ხმებმა მოიცვა არემარე.

1

მაგრამ მზის მხურვალე
სხივებმა ტყეში დაცვენილ
გამხმარ ფოთლებს ცეცხლი
მოუკიდა.

3

შემდეგ ცეცხლი მოეკიდა
ხმელ ბალახს, ერთ ხეს,
მეორეს, მესამეს...

2

ტყეში დიდი ხანძარი
გაჩნდა. მიწაზე ცვიოდა
დამწვარი ხის ლოდები...
გარბოდნენ ცხოველები.

5

ისინი მდინარისკენ
გაეშურნენ, გადალახეს
ის და გადარჩნენ.

4

ბ) მასწავლებელი ასმენინებს ფირს (6), რომელშიც დეკლამატორი მხატვრულად კითხულობს ტექსტს, რასაც ახლავს მუსიკალური ფონი, გაფორმება. მოსწავლეებს ევალებათ, სამუშაო რვეულში თვალი მიადევნონ ტექსტს. დააკვირდნენ, რომელ წინადადებას როგორი მუსიკა ერთვის ფონად.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

• მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტს (ფირი 8). გაიხსენეთ, რომელ ტექსტს ახლდა მუსიკა? სამუშაო რვეულში აი, ეს ✓ ნიშანი ჩაწერეთ სამკუთხედში, რომელიც სურათის აღმწერ ტექსტს ახლავს.

კომენტარი:

იმავე ფრაგმენტიდან მასწავლებელს ვთავაზობთ მცირე მოცულობის მოტივს (ფირი 7). მასწავლებელი მოასმენინებს და სთხოვს კლასს, სამუშაო რვეულში აღნიშნულ მოტივს შეურჩიონ ერთ-ერთი ნიშანი.

• როგორ მოძრაობს მუსიკა:

ა) დაბალი რეგისტრიდან მაღალ რეგისტრამდე, აღმავალი სვლა ახასიათებს;

ბ) მაღალი რეგისტრიდან დაბალი რეგისტრისკენ, დაღმავალი სვლა ახასიათებს.

• რა გადმოიცემა მუსიკის ამგვარი მოძრაობით?

აქტივობა 45-46

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 30); პ. ჩაიკოვსკი – „ოქტომბერი“, ციკლიდან „წელიწადის დრონი“; ა. ვივალდი – „შემოდგომა“; „ზამთარი“ ციკლიდან „წელიწადის დრონი“; „მრავალჟამიერი“ ქართლ-კახური; დ. ფაღავას „გაზაფხული“; ზაფხულის მუსიკალური რიტმები; ე. გრიგი – საორკესტრო სიუიტა „პერ გიუნტი“; პიესა „დილა“.

I. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთობლივად საუბრობს ბუნებრივ მოვლენებზე, რომლებიც ყოველ დღეს ახლავს (გათენება, დაღამება). საინტერესოა, კომპოზიტორები როგორ აღწერენ მუსიკის გამომსახველი საშუალებების დახმარებით ამ მოვლენებს.

მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს ე. გრიგის „დილას“.

ა) არკვევს მუსიკის ხასიათს, ტემპს, დინამიკას (რა დროს ჟღერს მუსიკა ჩუმად/ხმამაღლა); არკვევს, თუ რომელი საკრავის ტემბრი ამოიცნეს მათ (ჩასაბერია თუ კლავიშებიანი/სიმებიანი/დასარტყამი).

ბ) პედაგოგი ჩართავს და უჩვენებს ვიდეოფირს, რომელზეც წარმოდგენილია ე. გრიგის საორკესტრო ნაწარმოების ე. წ. „მუსიკოგრამა“.





კომენტარი:

ფირსა და სამუშაო რვეულში ნათლად არის მითითებული ორი მუსიკალური ტემბრის, ფლეიტისა და ჰობოის, დიალოგი. ფლეიტის ტემბრის ჟღერადობა გამოსახულია მზის სიმბოლოთი, ხოლო ჰობოის მიერ შესრულებული მოტივი – ყვავილით; მთლიანი ორკესტრის ჟღერადობა კი ჩიტებით გამოისახა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, მოსწავლეებს არ გაუძნელდებათ ბუნების გამოღვიძების ეპიზოდის წარმოდგენა მუსიკის დახმარებით.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები

- დააკვირდით ნახატს, როგორ მოძრაობს მელოდია:

ა) მაღალი რეგისტრიდან დაბლისაკენ – დაღმავალი სვლით იწყებს, შემდეგ კვლავ მაღალი რეგისტრისკენ, აღმავალი სვლით აგრძელებს მოძრაობას და ასე შემდეგ – ამგვარად, იკვეთება ტალღისებური მოძრაობა;

ბ) მელოდია, ძირითადად, დაბალ რეგისტრში მოძრაობს;

- თქვენი აზრით, რატომ გამოისახა ეს მელოდია მზით, ყვავილებით, ჩიტებით? შეცვლიდით სიმბოლოებს? თუ, კი, ახსენით თქვენი პასუხი.

II. კლასში 4-5 მოსწავლისგან იქმნება ჯგუფები. თითოეულმა ჯგუფმა უნდა განასახიეროს მიმიკისა და ჟესტის ელემენტებისა და შესატყვისი ხმების გამოყენებით მასწავლებლის მიერ შეთავაზებული თემები:

ა) „მოწყენილი ხეები და ჩიტების გადაფრენა“ (დაურთოს პ.ჩაიკოვსკი – „ოქტომბერი“, ციკლიდან „წელიწადის დრონი“);

ბ) „ძლიერი ქარი და ფოთოლცვენა“ (დაურთოს ა. ვივალდი – „შემოდგომა“, ციკლიდან „წელიწადის დრონი“);

გ) „ჩურჩხელის ამოვლება და ლხინი“ (დაურთოს ქართლ-კახური „მრავალჟამიერი“).

III. მასწავლებელი სთავაზობს კლასს შექმნან კომპოზიცია სახელწოდებით „წელიწადის დრონი“ – ასმენინებს ოთხ მუსიკალურ ფრაგმენტს (ა. ვივალდის „ზამთარი“; პ. ჩაიკოვსკის „ოქტომბერი“; დ. ფაღავას „გაზაფხული“; ზაფხულის მუსიკალური რიტმები), აქედან ერთი ფრაგმენტის (პ. ჩაიკოვსკი „ ოქტომბერი“) ფონზე მათ უკვე შესრულებული/განსახიერებული აქვთ შემოდგომის აღმწერი სიტუაცია, რაც მუსიკის შერჩევის დროს ასევე დაეხმარება.

ავსებენ სქემას: პირველ რგოლში ჩაწერენ იმ სეზონის სახელწოდებას (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა ან ზამთარი), რომელსაც ამოიცნობენ მუსიკაში და ა.შ.



იმსჯელეთ:

- როგორი განწყობის კომპოზიცია გამოგივიდათ?
- განსხვავდება თუ არა ამ კომპოზიციის ნაწილები ერთმანეთისგან?

III თავი

თემა: დღეობები და დღესასწაულები სახლში და გარეთ

კომპლექსური დავალება №3 – აქტივობა 60-64

(სამუშაო რვეული დავალება 37)

კომპლექსური დავალების პირობა	**გრძელვადიანი მიზნები**
<u>საკითხი:</u> მუსიკით დღესასწაულის მსვლელობის აღწერა. **პირობა:** გააფორმეთ მუსიკით საახალწლო წვეულება. ამისათვის შეურჩიეთ მუსიკალური ფრაგმენტები ღონისძიებაზე მოწვევასა და დახვედრას, მასპინძლის წარდგენას, სტუმრების დახასიათებას, სტუმრებისთვის საჩუქრების დარიგებას, და ბოლოს, სტუმრების გაცილებას. აღწერეთ, მუსიკის რომელი მახასიათებლების მიხედვით შეურჩიეთ დღესასწაულის თითოეულ ეტაპს მუსიკალური ფრაგმენტები; ახსენით თქვენი არჩევანი; შეაფასეთ, რამდენად გაართვით დავალებას თავი. **<u>პრეზენტაციის დროს წარმოაჩინეთ:</u>** • როგორი მუსიკალური ფრაგმენტებით გააფორმეთ ღონისძიებაზე მოწვევა და დახვედრა; • როგორი მუსიკით წარადგინეთ მასპინძელი; • როგორი მუსიკით დაახასიათეთ სტუმრები? • როგორი მუსიკალური საჩუქარი მიუძღვენით სტუმრებს? **<u>რესუსი:</u>** • პ. ჩაიკოვსკი – ბალეტი „მაკნატუნა“	**<u>სამიზნე ცნება:</u>** მუსიკა **<u>შედეგი:</u>** მუს. დაწყ. (I) 2,4,5 **<u>ქვეცნებები:</u>** ბგერის სიძლიერე (ხმამაღლა, ხმადაბლა, ფორტე, პიანო); ბგერის გრძლიობა (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები); ბგერის სიმაღლე (წვრილი, საშუალო, ბოხი; მაღალი, დაბალი რეგისტრი); ბგერის ტემბრი (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო) **<u>სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</u>** • მუსიკა მოიცავს ყველაფერს, რაც გვესმის (ხმა, ხმაური), რაც ატარებს თავის განწყობას, შინაარსს და იწვევს ჩვენში გარკვეულ განცდას; • ხმა, ხმაური, მელოდია, რიტმი, ჰარმონია და ფორმა მუსიკის მთავარი მახასიათებლებია; • მუსიკალურ ნაწარმოებებს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.

პრაქტიკული რჩევები – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები
I ეტაპი (კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა)

	რა აქტივობებს განვახორციელებთ	**რა კითხვებზე ვმუშაობთ?**	**როგორაა დაკავშირებული კომპლექსურ დავალებასთან?**
I ეტაპი კომპლექსური დავალების პირობისა და ფორმის გაცნობა	**მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.** თემაში შესვლისა და განწყობის შექმნის მიზნით და, აგრეთვე, იმისათვის, რომ დავაფიქროთ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებაზე, მასწავლებელი წინარე ცოდნაზე დაფუძნებით განახორციელებს რამდენიმე აქტივობას. მაგალითად, იმისათვის, რომ მოსწავლემ გაიაზროს, თუ როგორ გადმოიცემა მუსიკალურ ინტონაციაში მეტყველების მანერა, ქცევის სტილი, ჟესტი, რომლებიც წვეულების/დღესასწაულის დროს წარმოქმნილ ემოციებს გამოხატავს, მასწავლებელს შეუძლია ისაუბროს ბავშვებთან სხვადასხვა რიტუალზე: მისალმება, მიწვევა, დაჯილდოება, კარნავალი, აღლუმი...	• რა არის ასახული კომპლექსური დავალების პირობაში? • თქვენი აზრით, როგორ უნდა იმუშაოთ ამ დავალებაზე? • როგორ აღწერთ/განასახიერებთ/გაახმოვანებთ მისალმების/მიწვევის/დაჯილდოების რიტუალს? • როგორ მუსიკას შეურჩევთ მისალმების/ მოწვევის/ საჩუქრის გადაცემის და ა. შ. რიტუალებს?	კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე, პრინციპის, მარტივიდან რთულისაკენ, გათვალისწინებით, წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეები შეასრულებენ არცთუ ისე რთულ დავალებებს, რაშიც მასწავლებელი დახმარებას გაუწევს, ვინაიდან ეს გაკვეთილები იქნება პატარების პირველი გააზრებული შეხება მუსიკასთან/ხმებთან.

რას ვაფასებთ?

აღწერა
მოსწავლე მუსიკალური მახასიათებლების დახმარებით უსადაგებს ფრაგმენტს წვეულების თითოეულ ეტაპს;
აღწერს მუსიკის მახასიათებლების მიხედვით საჩუქრის გადაცემას, მასპინძლის განწყობას, სტუმრების მოწვევა-დახვედრას;
წარდგენის დროს აღწერს განხორციელებულ ქმედებებს;
ახსნა
ხსნის, თუ რის მიხედვით შეურჩია ღონისძიების ეტაპებს მუსიკალური ფრაგმენტები;
ხსნის თავის არჩევანს, თუ რატომ შეუსაბამა კონკრეტული მუსიკალური ფრაგმენტი წვეულების ეტაპებს (არგუმენტაციის დროს მიზნობრივად იყენებს ტერმინებს, სათანადო ლექსიკას);
შეფასება
აფასებს, რამდენად გაართვა დავალებას თავი;
წარდგენის დროს გადმოსცემს თავის დამოკიდულებებს.

კომპლექსური დავალება №3

პირობა: გააფორმეთ მუსიკით საახალწლო წვეულება. ამისათვის შეურჩიეთ მუსიკალური ფრაგმენტები ღონისძიებაზე მოწვევასა და დახვედრას, მასპინძლის წარდგენას, სტუმრების დახასიათებას, სტუმრებისთვის საჩუქრების დარიგებას, დაბოლოს, სტუმრების გაცილებას. აღწერეთ, მუსიკის რომელი მახასიათებლების მიხედვით შეურჩიეთ დღესასწაულის თითოეულ ეტაპს მუსიკალური ფრაგმენტები; ახსენით თქვენი არჩევანი; შეაფასეთ, რამდენად გაართვით დავალებას თავი.

1. **ღონისძიებაზე მოწვევა და დახვედრა**

შეკითხვა: როგორ შევურჩიოთ მუსიკა სტუმრების მოწვევასა და დახვედრას?

მოუსმინეთ ორ მუსიკალრ ფრაგმენტს და თავად გადაწყვიტეთ:
ა) რომელ ფრაგმენტს შეურჩევდით მოსაწვევ ბარათს;

ბ) რომელ ფრაგმენტს გამოიყენებდით მოწვეული სტუმრების დასახვედრად? სურათებს მიუწერეთ სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი.

მოწვევა

სტუმრის მიპატიჟება

2. **მასპინძლის წარდგენა**

შეკითხვა: როგორ შევარჩიოთ მუსიკალური ფრაგმენტები მასპინძლის წარდგენისათვის?

ა) რომელ მუსიკალურ დახასიათებას შეურჩევდით საახალწლო ღონისძიების მასპინელს, თოვლის პაპას? ჩაწერეთ ცარიელ წრეში მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი.

ბ) განმეორებით მოუსმინეთ სამ მუსიკალურ ფრაგმენტს. რომელ თოვლის პაპას გახსენებთ?



გ) რომელი მუსიკალური დახასიათების გრაფიკული გამოსახულებაა? დააკავშირეთ ისინი ხაზებით.



დ) განმეორებით მოუსმინეთ ამ მუსიკალურ დახასიათებებს და ჩაწერეთ მათი ნომრები ცხრილის შესაბამის გრაფაში:

ამ მუსიკალური დახასიათების მელოდია ბოლოში ბოხ ბგერებზე ჟღერს	ეს მუსიკალური დახასიათება წვრილ ბგერებზე ჟღერს	ამ მუსიკალურ დახასიათებაში ხმის სიძლიერე ბოლოსკენ მატულობს

3. **სტუმრების დახასიათება**

შეკითხვა: მუსიკის საშუალებით როგორ დავახასიათოთ სტუმრები?

ა) თქვენი აზრით, მოსმენილთაგან რომელი მუსიკა მოუხდება ბავშვების მიწვევას საახალწლო ნაძვის ხესთან? შეარჩიეთ სასურველი ფრაგმენტი და მისი ნომერი ჩაწერეთ წრეში.

ბ) ახლა კი, განმეორებით მოუსმინეთ სამ ფრაგმენტს და მათი ნომრები ცხრილში ჩასვით შესაბამის გრაფაში:

სირბილით	**მწყობრად**	**ხტომა-ხტომით**
		

4. **სტუმრებისთვის საჩუქრების დარიგება**

ა) რომელი მუსიკალური ფრაგმენტი რომელ საჩუქარს მოუხდება?

ბ) შეავსეთ ცხრილი. მოსმენილი ფრაგმენტების ნომრები ჩაწერეთ შესაბამის გრაფაში:

ეს ფრაგმენტი ყველაზე წვრილ ბგერებზეა აწყობილი.	ამ ფრაგმენტში ყველაზე მოძრავი რიტმია გამოყენებული.	ამ ფრაგმენტში ყველაზე მდორე, მძიმე რიტმია.	ამ ფრაგმენტში წკრიალა ბგერების მქონე ინსტრუმენტებია გამოყენებული.

გ) საახალწლო დღეებში ყველაზე მთავარი საჩუქარი მაკნატუნაა. შეიძლება ის არ არის ლამაზი თოჯინა, თუმცა ის ყველაზე ჯადოსნურია, ბოროტი ჯადოქრის მიერ მოჯადოებული მამაცი პრინცი... თქვენი აზრით, რომელი მუსიკალური დახასიათება მიესადაგება მაკნატუნას? წრეში ჩაწერეთ შესაბამისი ფრაგმენტის ნომერი.

დ) რა სიტყვას დაუკავშირებდით ამ მუსიკალურ დახასიათებებს? დააკავშირეთ ხაზით ფრაგმენტის ნომერი სათანადო სიტყვასთან.

მოძრავი რიტმი 1

მღერადი მელოდია 2

ნაღვლიანი მელოდია 3

5. სტუმრების გაცილება

მოისმინეთ მუსკალური ფრაგმენტები და შეურჩიეთ ისინი სტუმრების გაცილების რიტუალს. ცარიელ წრეში ჩაწერეთ თქვენ მიერ შერჩეული მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი.

კომენტარი:

ვფიქრობთ, წარმოდგენილ კომპლქსური დავალების ინსტრუქციაში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლის მიერ შესასრულებელი აქტივობები. თითოეული აქტივობის დასრულების შემდეგ, მასწავლებელს ვთავაზობთ დასვას კითხვები იმის დასადგენად, თუ რა ნიშნით, რა მახასიათებლით იხელმძღვანელეს პატარა მსმენელებმა და შეუსაბამეს მუსიკა ამა თუ იმ ქმედებას/სიტუაციას.

I **აქტივობაში** მასწავლებელი ასმენინებს კლასს ორ მუსიკალურ ფრაგმეტს (ელექტრონული საქაღალდე №1. ფირი 1,2) და სთხოვს, ფირები შეუსაბამონ მოსაწვევ ბარათსა და სტუმრის მიპატიჟების რიტუალს, მოძრაობას. გაჟღერებული ფირის ნომერს ჩაწრენ სურათებთან განთავსებულ რგოლებში - მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა არჩევანის გაკეთების შემდეგ დაასაბუთონ, თუ მუსიკის რომელი მახასიათებლის (მელოდია, რიტმი, ტემპი, რეგისტრი) მიხედვით შეარჩიეს ერთი ან მეორე მუსიკალური ფრაგმენტი.

II **აქტივობა** რამდენიმე ეტაპს მოიცავს. ერთ-ერთ ეტაპზე მოსწავლეებმა სურათებზე გამოსახულ სამ სხვადასხვა ხასიათის თოვლის პაპას უნდა შეურჩიონ მუსიკალური ფრაგმენტი (ელექტრონული საქაღალდე №2. ფირი 1,2,3). ვიდრე მუსიკას მოისმენენ, აღწერონ ერთობლივად სურათები: რომელია ხუმარა და მხიარული, რომელია მშვიდი და რომელი - ბრაზიანი თოვლის პაპა. მუსიკაც თითოეული განწყობის შესატყვისი უნდა იყოს.

III **აქტვოიბის** განსახორციელებლად სამი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენაა გათვალისწინებული (ელექტრონული საქაღალდე №3. ფირი 1,2,3): პირველ ჯერზე შეარჩევენ მუსიკალურ ფირს, რომელიც სტუმრებს მიიწვევს საახალწლო ნაძვის ხესთან, შემდგომ მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს უშუალოდ მუსიკის რიტმზე, ტემპზე. ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, თუ რომელ ფირში ამოიცნეს ბავშვების სირბილით, მწყობრად და ხტუნვა-ხტუნვითი მოძრაობები.

IV **აქტივობა** – მაკნატუნას მუსიკალური პროტრეტის შესარჩევად სამი მუსიკალური ფრაგმენტია შემოთავაზებული (ელექტრონული საქაღალდე №4. ფირი 1,2,3). მასწავლებელმა მუსიკის შერჩევის პროცესში ყურადღება გაამახვილოს პერსონაჟის თვისებებზე - გამბედაობასა და სიმამაცეზე.

V **აქტივობა** - ვიდრე მასწავლებელი სტუმრების გასაცილებელი მუსიკის შესარჩევად სამ მუსიკალურ ფრაგმენტს (ელექტრონული საქაღალდე №5. ფირი 1,2,3) მოასმენინებს, იმსჯელონ თუ რა განწყობით დატოვებდნენ სტუმრები იმ წვეულებას, რომელსაც კეთილი და მხიარული თიოვლის პაპა მასპინძლობდა... კმაყოფილ სტუმარს ამაღლებული, საზეიმო განწყობის მუსიკა შეეფერება.

II ეტაპი

ნაბიჯი 1 – როგორ ამოვიცნოთ და აღვწეროთ სხვადასხვა დღესასწაულზე გაჟღერებული ხმები (აქტ. 52);
ნაბიჯი 2 – შესაძლებელია თუ არა მუსიკამ გადმოსცეს თუ რა ხდება დღესასწაულის დროს (აქტ. 53-62);
ნაბიჯი 3 – კომპლექსური დავალების წარდგენა (აქტ. 63-67)

აქტივობა 52

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 32); ხმები

მასწავლებელი ასმენინებს კლასს დაბადების დღეზე, საქორწილო რიტუალსა და საახალწლო მოლხენის დროს გაჟღერებულ ხმებს. სამუშაო რვეულში ბავშვებმა სურათებს ხაზებით უნდა დაუკავშირონ გაჟღერებული ხმების ნომრები.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რომელი დღესასწაულებია ეს?
- როგორ ფიქრობთ, სურათების გარეშე, ხმებით თუ ამოიცნობდით ამ დღესასწაულებს?
- რატომ ფიქრობთ ასე?
- რისი ხმა გაჟღერდა სამივე დღესასწაულის აუდიომაგალითში?
- რომელი ხმის მიხედვით ამოიცანით ქორწილი?
- როგორ ფიქრობთ, ეს სურათი და ხმა რომ არ ყოფილიყო, ამოიცნობდით ქორწილის დღესასწაულს?
- რომელმა ხმამ მიგანიშნათ ახალ წელზე?
- რომელმა ხმამ მიგანიშნათ დაბადების დღეზე?

დამატებითი აქტივობა 53

რესურსი: ბრაზილიური ხალხური სიმღერა „სამბა“



ა) რიტმული სავარჯიშო: მასწავლებელი ტაშით შეასწავლის მოსწავლეებს სიმღერის რიტმს. თავდაპირველად II ტაქტის რიტმულ ნახაზს სწავლობენ ტექსტზე „სამბა ლა-ლე-ლა“;

ბ) მასწავლებელი თავად ასრულებს ბრაზილიურ სიმღერას და მოსწავლეებს სთხოვს, მღერით და ტაშით აჰყვნენ სიტყვებზე „სამბა ლა-ლე-ლა“.

ინფორმაცია:

„სამბა“ პოპულარული ლათინურამერიკული ცეკვაა. ბრაზილიაში ყოველწლიურად ტარდება სამდღიანი ფესტივალი, კარნავალი, რომელიც ამ ცეკვას ეძღვნება.

კარნავალი არის დღესასწაული, რომელიც ხასიათდება კოსტიუმებისა და ფერადი ნიღბების გამოყენებით, ცეკვის თანხლებით.

მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს საკარნავალო ცეკვას:

- დააკვირდით მოცეკვავეს, რას გვეუბნება მისი საცეკვაო ჟესტები, ილეთები?
- მუსიკა როგორ გვაგებინებს, რომ ის სადღესასწაულოა?

მასწავლებელმა ისე წარმართოს საუბარი, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ, როგორ იქმნება სადღესასწაულო განწყობა მელოდიის, რიტმისა და ტემპის, აგრეთვე, მოძრაობის საშუალებით.

აქტივობა 54

რესურსი: ს. პროკოფიევი – ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“, აქტი I, „ჯულიეტა გოგონა“; ფ. შოპენი – პოლონეზი ლა-მაჟორი; სიმღერა – Happy Birthday

ა) მასწავლებელი ისაუბრებს სხვადასხვა რიტუალზე: მისალმება, მიწვევა, დაჯილდოება, კორონაცია, აღლუმი – ეს სიტყვები იწერება დაფაზე და ერთობლივად აღწერს თითოეულ რიტუალს.

მას. – აღწერეთ მისალმების რიტუალი, როგორ მოძრაობებს აკეთებენ ადამიანები მისალმებისას?

– რას ვამბობთ ხოლმე, როდესაც სტუმრად ვიწვევთ მეგობრებს? წარმოთქვით შესაბამისი ინტონაციით სიტყვები: „მობრძანდით გეთაყვა!“ „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ „გილოცავ დაბადების დღეს!“ „მიიღე ჩემგან ეს საჩუქარი!“..

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამ ფრაზების წარმოთქმის დროს გამოიყენონ მიმიკა და ჟესტი.

ბ) სამუშაო რვეულში (დავალება 33) განთავსებულია ფრაზები :

სირბილით, ხტუნვა-ხტუნვით ეგებება სტუმრებს
საჩუქრის გადაცემა

საიუბილეო ტორტის შემოტანა

მასწავლებელი ჩართავს მუსიკალურ ფრაგმენტებს და სთხოვს მოსწავლეებს, მოსმენილი ფრაზებს შეუსაბამონ.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რომელი ფრაზის შესატყვისი მუსიკა გაჟღერდა პირველად?
- როგორ მიხვდით, რომ ეს მუსიკა მასპინძლის სკუპ-სკუპით შეხვედრას აღწერს?
- იუბილარისთვის საჩუქრის გადაცემა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია. ეს ყველაზე ამაღელვებელი და ბედნიერი წუთებია. რომელი მუსიკალური ფრაგმენტი შეურჩიეთ ამ მომენტს? უჯრაში ჩაწერეთ გაჟღერებული ფირის ნომერი.
- აღწერეთ ეს მუსიკა (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის გაცემაც):

ა) ამ მუსიკაში ნათლად არის გამოხატული ამაღლებული, საზეიმო განწყობა;

ბ) მუსიკის რიტმი თითქოს აღწერს საზეიმო ნაბიჯებს, სვლას;

გ) ამ მელოდიას ასრულებს ფორტეპიანო;

დ) სხვა

აქტივობა 55

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 34); მუსიკალური ფრაგმენტები

ამ ეტაპზე მოსწავლეები უსმენენ მუსიკალურ ფრაგმენტებს და სამუშაო რვეულში, სათანადო დღესასწაულის სურათის ცარიელ უჯრაში, უნდა ჩაწერონ მათი ნომერი.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტები ჰგვანან ერთმანეთს ხასიათით?
- როგორი ხასიათისაა ის ფრაგმენტი, რომელიც თქვენ არ დაასახელეთ?
- რა სიტყვას დაუკავშირებდით ამ მუსიკალურ ფრაგმენტს?

➢ სევდიანი;
➢ ჯადოსნური;
➢ მღელვარე;
➢ სხვა.

აქტივობა 56-57

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 35); მუსიკალური ფრაგმენტები ნახატი ფილმიდან „ჩხიკვთა ქორწილი“

კლასი აგრძელებს დავალებების შესრულებას თემაზე, შეიძლება თუ არა მუსიკით გადმოცემა იმისა, რაც ხდება დღესასწაულის დროს?

ამისათვის მასწავლებელი სთავაზობს პატარებს ქართული ნახატი ფილმის, „ჩხიკვთა ქორწილის“, აუდიოფრაგმენტების მოსმენას.

მასწავლებელი ასმენინებს ფრაგმენტებს და სთხოვს პატარებს, სამუშაო რვეულში ჩაწერონ ამ ფრაგმენტების ნომერი, სათანადო სურათის ცარიელ უჯრაში. მოსწავლეებს დავალების შესრულება რომ არ გაუძნელდეთ, მასწავლებელი შეახსენებს, რომ მათ მიერ მოსმენილ ფრაგმენტებში მუსიკის გარდა, გაჟღერდება პერსონაჟების ტექსტი, რასაც ახლავს მუსიკალური ფონი, გაფორმება.

ბავშვებმა თვალი უნდა მიადევნონ სურათებსა და ტექსტებს, იმსჯელონ, როგორი მუსიკით არის თანხლებული ტექსტი, რას გამოხატავს ეს მუსიკა.



დაიწყო საქორწინო სამზადისი – კოდალებმა ფოთლებზე მოსაწვევი ბარათები გაამზადეს: „გთხოვთ, მობრძანდეთ და გაამხიარულოთ ჩვენი ოჯახი. ჩხიკვი თომა“

„ჩვენო მგოსანო, გვიგალობე!“ – თხოვნით მიმართეს სტუმრებმა ბულბულს.



ბარტყებისჭამია ყვავი და მელა ქორწილში არ მიიწვიეს. ისინი გადაწყვეტენ ქეთევანის მოტაცებას და ქორწილის ჩაშლას.

„იცოცხლოს და იდღეგრძელოს ზაქარამ და ქეთევანმა!..“ – თამადამ სადღეგრძელო წარმოთქვა, სტუმრებმა კი „მრავალჟამიერი“ შემოსძახეს.

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

• რომელ ტექსტს ახლდა, პირველად გაჟღერებული მუსიკალური ფრაგმენტი რომელი სურათის ტექსტს აღწერს ეს მუსიკა?

• აღწერეთ ეს მუსიკა (შემოხაზეთ თქვენი პასუხი):

ა) მუსიკალური ბგერების გაჟღერებამდე, ისმის რიტმი, თითქოს, ნისკარტით კაკუნიაო, ხოლო ამის შემდეგ მაღალი რეგისტრის მუსიკალური ბგერები ჟღერს;

ბ) მუსიკას ახასიათებს მაღალი რეგისტრიდან დაბალი რეგისტრისკენ, დაღმავალი სვლა;

• რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში გაისმის ბულბულის სტვენა?

• ბულბულის სტვენა მაღალი რეგისტრის ბგერებით არის გადმოცემული თუ დაბალი რეგისტრისა?

• ყველა მოსმენილი ფრაგმენტს შეურჩიეთ ეს სიტყვები:

მშვიდია	**დაძაბულია**	**ხმაურიანია**
	ხალისიანია	**სევდიანია**

• ყველაზე ხმაურიან ფრაგმენტში კომპოზიტორს

ა) სურს მუსიკით საქორწინო განწყობის წარმოჩენა;

ბ) სურს ბოროტი პერსონაჟების მიერ ჩადენილი მოქმედების წარმოჩენა;

გ) სხვა

აქტივობა 58-59

რესურსი: სამუშაო რვეული (დავალება 36); მ. დავითაშვილი – მუსიკა ნახატი ფილმისთვის „ჩხიკვთა ქორწილი“.

მასწავლებელი განმეორებით ასმენინებს ბავშვებს მუსიკალურ ფრაგმენტებს ნახატი ფილმიდან „ჩხიკვთა ქორწილი“. პატარებმა უნდა შეავსონ ცხრილი. მოსმენილი ფრაგმენტების ნომრები ჩაწერონ შესაბამის გრაფაში:

ამ ფრაგმენტში გაისმის ნეფე-პატარძლის სადიდებელი სიმღერა „მრავალ-ჟამიერი“ რომელიც თამადის სადღეგრძელოს მოჰყვა.	**ამ ფრაგმენტში ყველაზე მოძრავი რიტმია გამოყენებული.**	**პატარძალი გაიტაცეს! – მუსიკა სწრაფ ტემპში ჟღერს, ჭარბობს დაბალი რეგისტრის (ბოხი) ბგერები.**	**ამ ფრაგმენტში ერთ-ერთი ფრინველის სტვენა-გალობაა მუსიკალურად აღწერილი.**

სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული კითხვები

- რომელ ნომრად გაჟღერდა ფრაგმენტი, რომელშიც ქორწილის სტუმრები „მრავალჟამიერს“ მღეროდნენ?
- როგორი ხასიათის სიმღერაა „მრავალჟამიერი“?

ა) ამაღლებული, საზეიმო განწყობის შემქმნელი;

ბ) სევდიანი, დინჯი

- ქორწილის გარდა, კიდევ რა დროს ჟღერს ხოლმე „მრავალჟამიერი“, სხვა რომელ დღესასწაულზე?
- როგორ ამოიცანით პატარძლის გატაცების გამომხატველი მუსიკალური ფრაგმენტი?
- როგორია მუსიკა:

ა) მღელვარე, სწრაფი;

ბ) მშვიდი, ნელი ტემპით

- რომელი ფრინველის გალობა მოისმინეს ქორწილის სტუმრებმა?
- ამ ფრინველის ხმა სხვაგან სად მოგისმენიათ?
- მაღალ რეგისტრში ჟღერს ეს ხმა თუ დაბალი?
- ბულბულის სიმღერა სასიამოვნოა თუ არასასიამოვნო?

VIII – ელექტრონული რესურსის ჩამონათვალი
აუდიო/ვიდეოფირები

1. ლ. ანდერსონი – „კატების ვალსი“;
2. ს. პროკოფიევი – „კატა“, საფორტეპიანო ციკლი „პეტრე და მგელი“;
3. ჯ. როსინი – „კატების დუეტი“;
4. კ. ჟანეკენი – „ფრინველების გალობა“;
5. ა. ვივალდი – „გაზაფხული“ (სავიოლინო კონცერტების ციკლი „წელიწადის დრონი“);
6. გ.ფ.ჰენდელი – „გუგული და ბულბული“ (საორღანო კონცერტი);
7. გ. გოლინინი – „დათვი“ (სიუიტა „ზოოპარკში“);
8. გ. გოლინინი – „კურდღელი“ (სიუიტა „ზოოპარკში“);
9. კ. სენ-სანსი – „ვირი“ (სიუიტა „ცხოველების კარნავალი“);
10. კ. სენ-სანსი – „ლომის სამეფო მარში“ (სიუიტა „ცხოველების კარნავალი“);
11. კ. სენ-სანსი – „კენგურუ“ (სიუიტა „ცხოველების კარნავალი“);
12. კ. სენ-სანსი – „აკვარიუმი“ (სიუიტა „ცხოველების კარნავალი“);
13. კ. სენ-სანსი – „ქათმები და მამლები“ (სიუიტა „ცხოველების კარნავალი“);
14. ჟ.ფ. რამო – „ქათამი“;
15. ა. ლავინიკი – „გალოპი“;
16. Mary hed a little lamb – ამერიკული ხალხ. სიმღერა;
17. Bingo – ამერიკ. ხალხ. სიმღერა;
18. La Cucaracha – მექსიკ. ხალხ. სიმღერა;
19. ჯ. გერშვინი – „ძაღლის სეირნობა“;
20. ლ.ვ. ბეთჰოვენი – „ზაზუნა“;
21. ს. პროკოფიევი – „კალიების მსვლელობა“;
22. ე. გრიგი – „პეპელა“;
23. ბ.ბრიტენი – „ობობა და ბუზი“;
24. მ. რაველი -„მზის ამოსვლა“ („დაფნისი და ქლოე“);
25. ლ.ვ ბეთჰოვენი – სიმფ. № 6, „პასტორალური“, IV ნაწ.;
26. ე. გრიგი – „დილა“ („პერ გიუნტი“);
27. ს. პროკოფიევი – „ჯულიეტა გოგონა“, (ბ. „რომეო და ჯულიეტა“);
28. ფ. შოპენი – პოლონეზი ლა-მაჟორი;
29. ფ. მენდელსონი – „საქორწილო მარში“ (უვერტიურა „ზაფხულის ღამის სიზმარი“);
30. მ. დავითაშვილი – მუს. ნახატი ფილმიდან „ჩხიკვთა ქორწილი“.

ხმა-სემპლები:

1. ლომი;
2. მგელი;
3. ძროხა;
4. ცხვარი;
5. ბეღურა;
6. მტრედი;
7. წერო;
8. არწივი;
9. მამალი;
10. ქათამი;
11. ინდაური;
12. იხვი;
13. ყვავი;
14. ბუზი;
15. ჭრიჭინა;
16. ვიოლინო;
17. საქსოფონი;
18. ქარი;
19. წვიმა;
20. ჭექა-ქუხილი;
21. ტყის ხანძარი;
22. ზღვის ტალღები;
23. წყარო;
24. ჩანჩქერი;
25. მეწყერი

დანართი

მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი

არანჟირება (გადამუშავება) – მუსიკალური კომპოზიციის მორგება შემსრულებლების სხვა შემადგენლობისათვის

Assai (ასაი) – საკმაოდ, საკმარისად, ძალიან.

Attacca (ატაკა) – გადააბი. მითითება რაიმე ნაწილის შემდეგ, რომელიც ნიშნავს შეუსვენებლივ შესრულებას.

A tempo (ა ტემპო) – წინა ტემპში. პირვანდელი ტემპის დაბრუნება.

Bel canto (ბელ კანტო) – მშვენიერი სიმღერა. 1. იტალიურ ოპერასთან დაკავშირებული სიმღერის მანერა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ტექნიკური სრულყოფა და ბგერათწარმოთქმის სილამაზე

Beat (ინგლ.) – რიტმული პულსაცია, რიტმული აქცენტირება

გამა, **ბგერათრიგი** – ბგერების ერთობლიობა, რომელიც მიეკუთვნება რაიმე კილოურ სისტემას და განსაზღვრული რიგის მიხედვით არის განლაგებულნი (აღმავალი და დაღმავალი მოძრაობის შემთხვევაში, როგორც წესი, გამის სახით)

გარეტაქტი – მუსიკალური ნაწარმოების დაწყება სუსტ დროზე.

გასაღები – სანოტო სისტემის დასაწყისში დაწერილი ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს მომდევნო სანოტო ჩანაწერის სიმაღლებრივ მდებარეობას (მაგ., ბანის, ვიოლინოს, ალტის და ა. შ.)

გუნდი – მომღერალთა ჯგუფი, რომელიც დანაწევრებულია ოთხ პარტიად (სოპრანოები, ალტები, ტენორები და ბანები)..

Da capo (და კაპო) – „თავიდან"; მითითება პიესის ან ნაწარმოების ნაწილის თავიდან გამეორებაზე; შემოკლ. D.C.

ელექტრონული მუსიკა – არა მარტო სინთეზატორით, არამედ ნებისმიერი ხმა წარმოებული ელექტრონული სიგნალის მიერ შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს როგორც ელექტრონული , პირველ რიგში კომპიუტერით.

ენჰარმონიზმი – თანაბარი ტემპერაციის პირობებში ერთი და იმავე ბგერის ჩაწერა სხვადასხვა ხერხით: მაგალითად, ლა დიეზი და სი ბემოლი.

ვარირება – კომპოზიციის ხერხი, რომლის დროს პირველად გადმოცემული მასალა გამეორებისას განიცდის ცვლილებებს.

Vivace (ვივაჩე) – ცოცხლად, სწრაფად, ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი

ვოკალიზი – 1) სიმღერა ხმოვან ბგერებზე (ვოკალური სავარჯიშო); 2) ნაწარმოები ხმისა (უსიტყვო) და თანხლებისათვის.

იმიტაცია – მუსიკალური აზრის ზუსტი ან ნაწილობრივ შეცვლილი გამეორება პოლიფონიური ფაქტურის სხვადასხვა ხმაში

ინტერვალი – მუსიკალური და მათემატიკური (აკუსტიკური) მანძილი ორ ტონს შორის. ინტერვალი შეიძლება იყოს მელოდიური, როდესაც ტონები იღება მიმდევრულად და ჰარმონიული, როდესაც ტონები ჟღერს ერთდროულად

Cantabile (კანტაბილე) – შესრულების მღერადი, გამართული სტილი.

კანტილენა – ლირიკული, მღერადი ხასიათის ვოკალური ან ინსტრუმენტული მელოდია.

Cantus firmus (ლათ.) (კანტუს ფირმუს) – წამყვანი მელოდია, რომელიც პოლიფონიური კომპოზიციის საყრდენს წარმოადგენს.

Cantus planus (ლათ.) (კანტუს პლანუს) – გრილორისეული ქორალისთვის დამახასიათებელი რიტმულად მშვიდი ერთხმიანი გალობა.

კონსონანსი – ორი ან მეტი ტონის კეთილხმოვანი ჟღერადობა. კონსონანსის კონცეფცია სხვადასხვა ეპოქისა და სტილის მუსიკაში იცვლებოდა.

კონტრალტო – რეგისტრულად ქალის ყველაზე დაბალი ხმა.

კონტრაპუნქტი – რამდენიმე დამოუკიდებელი ხმის ერთდროული შეხამება. ფართო გაგებით, კონტრაპუნქტი იგივეა, რაც პოლიფონია.

კონტრაფაგოტი – დიდი ფაგოტი, რომელიც ჩვეულებრივ ფაგოტზე ოქტავით ქვემოთ უკრავს.

კონტრტენორი – მამაკაცის ძალიან მაღალი ხმა (ტენორზე მაღალი)

Crescendo (კრესშენდო) – დინამიკის აღნიშვნა: ხმის სიმაღლის თანდათან გაძლიერება.

კოჭა – ძველებური ქართული ცეკვა. როკვაა ბუქსანავით (ს. ს. ორბელიანი).

კრაკოვიაკი – კრაკოვის მცხოვრებთა ცეკვა, ერთ-ერთი პოლონური ეროვნული ცეკვა.

კრიმანჭული – დასავლეთ საქართველოს (გურია, აჭარა) მრავალხმიანი ხალხური სიმღერების ზემო ხმა, მდიდარი მელოდიური ნახტომებით, ორნამენტიკით.

კრინი – მაღალი, ვარირებული ხმის ქართული სახელწოდება

ლაიტმოტივი – მელოდიური, რიტმული, ჰარმონიული მოტივი, რომელიც ასოცირდება პერსონაჟთან, დროსა და მოქმედების ადგილთან. ლაიტმოტივის ტექნიკას იყენებდა რ. ვაგნერი თავის ოპერებში.

ლეკური – სწრაფი, ტემპერამენტული ლეკური ხალხური ცეკვა ორწილად ზომაში, ასრულებს სოლისტი მამაკაცი, აგრეთვე ქალისა და მამაკაცის წყვილი.

ლენდლერი – გერმანიასა და ავსტრიაში გავრცელებული ხალხური წყვილთა წრიული ცეკვა სამწილად ზომაში.

Lento (ლენტო) – ტემპის აღნიშვნა: ნელა

მაჟორი და მინორი – ტერმინები გამოიყენება: 1) გარკვეული ინტერვალების ხარისხის განსაზღვრისას, მაგ., ტერცია შეიძლება იყოს მაჟორული, ან დიდი (დო-მი) და მინორული, ან პატარა (დო-მი-ბემოლ); 2) ორი ძირითადი სახის სამხმოვანების აღნიშვნისას: სამხმოვანება, რომლის პირველი ტერცია მაჟორულია – მაჟორულია (დო-მი-სოლ), ხოლო სამხმოვანება, რომლის ფუძე მინორული ტერციაა – მინორულია (დო-მი-ბემოლ-სოლ); 3) 1700 წ.-ის შემდეგ ევროპულ მუსიკაში ორი ყველაზე გავრცელებული ბგერათრიგის აღსანიშნავად – მაჟორული (დიდი ტერციით I და III საფეხურებს შორის) და მინორული (პატარა ტერციით I და III საფეხურებს შორის).

მაზურეკი – 1. პოლონეთის მაზოვიაში მცხოვრები მაზურების ცეკვა; 2. მუსიკალური ნაწარმოები ამ ცეკვის ფორმით (შოპენის მაზურკები).

მანუალი – ორგანის და კლავესინის კლავიატურა.

Marcato (მარკატო) – გამომსახველობის აღნიშვნა: ხაზგასმით, გამოყოფით

მელოდია – მუსიკალური აზრი, რომელიც ერთ ხმაშია გადმოცემული და აქვს განსაზღვრული სიმაღლებრივი და რიტმული კონტურები.

Meno (მენო) – „ნაკლებად"; meno mosso (მენო მოსო) – ტემპის აღნიშვნა ნაკლები სიჩქარით.

მენუეტი – ფრანგული ცეკვა სამწილად ზომაში.

Moderato (მოდერატო) – ტემპის აღნიშვნა: ზომიერად, andante-სა და allegro-ს შორის.

მოდულაცია –მაჟორულ-მინორულ სისტემაში ტონალობის შეცვლა.

Molto (მოლტო) – ძალიან; ტემპის აღნიშვნა: molto adagio – ძალიან ნელა.

მონოდია – სოლო ან ერთხმიანი საგუნდო სიმღერა აკომპანემენტის გარეშე.

მოტივი – მოკლე მელოდიკო-რიტმული ფიგურა, მუსიკალური ნაწარმოების ფორმის ყველაზე მცირე დამოუკიდებელი ერთეული.

მოძახილი – საგუნდო სიმღერის დასაწყისი, რომელსაც ასრულებს მოძახილის მთქმელი ან მომღერალთა მცირე ჯგუფი, რის შემდეგაც სიმღერას მთელი გუნდი აიტაცებს.

ნადი – შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთი უძველესი ფორმა, რომელიც აგებულია ურთიერთდახმარების შრომა-მიგებით პრინციპზე. ნადს იწვევდნენ, როგორც მიწის სამუშაოების (ხვნა, თესვა, ბარვა და სხვ.), ისე სახლის მშენებლობისა და სხვა ერთდროული შრომატევადი სამუშაოების დროს.

Perpetuum mobile (პერპეტუმ მობილე) (ლათ. „მუდმივი მოძრაობა") – პიესა, რომელიც თავიდან ბოლომდე აგებულია ჩქარ, უწყვეტ, რიტმულ მოძრაობაზე.

Pianissimo (პიანისიმო) – ძალიან ჩუმად; შემოკლ.: ***pp***.

Piano (პიანო) – ჩუმად; შემოკლ.: ***p***.

Piu (პიუ) – უფრო მეტად; piu allegro – ტემპის აღნიშვნა: უფრო ჩქარა.

Pizzicato (პიციკატო) – წკმეტით: შესრულების ხერხი სიმებიან საკრავებზე.

Portamento (პორტამენტო) – მელოდიის მღერადად შესრულების განსაკუთრებული მანერა.

Portato (პორტატო) – შესრულების სახეობა legato-სა და staccato-ს შორის

რიტმი – მუსიკის ორგანიზაცია დროში; კონკრეტულად – ბგერების გრძლიობების თანმიმდევ-რობა.

როკოკო – მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის მხატვრული მიმართულება, რომელმაც განვი-თარება ჰპოვა უმთავრესად არქიტექტურაში. მუსიკაში მისთვის დამახასიათებელია ორნამენ-ტული მოტივების სიუხვე, მელოდიური ხაზების იკლიკანტურობა

სამწილადი მეტრი, **ზომა** – ზომა, რომლისთვის ტიპურია თითოეულ ტაქტში (3/4, 3/2) ერთი ძლიერი და ორი სუსტი წილის არსებობა.

სანოტო სისტემა – სანოტო დამწერლობაში ხუთი ჰორიზონტალური ხაზის ერთობლიობა

სინკოპა – აქცენტის გადატანა ძლიერი წილიდან სუსტზე.

სინთეზატორი – ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტი.

სკერცო – სიტყვასიტყვით ხუმრობა. პიესა ან ციკლის ნაწილი ჩქარ ტემპში

Staccato (სტაკატო) – მოწყვეტით. ბგერის მიღების მანერა. Staccato

თემა – მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი მუსიკალური აზრი; ხშირად ეს ტერმინი ფუგის მთავარი თემის, აგრეთვე სონატური ფორმის მთავარი პარტიის აღსანიშნავად გამოიყენება.

ტემბრი – ადამიანის ხმის ან ინსტრუმენტის სპეციფიკური შეფერილობა.

ტემპი – მუსიკის მოძრაობის სიჩქარე.

ტენორი – 1) ოთხხმიან წყობაში ქვევიდან მეორე პარტია; 2) მამაკაცის მაღალი სასიმღერო ხმა

ფრაზა – მელოდიის ფრაგმენტი, რომელიც თავისი დანიშნულებით უთანაბრდება სამეტყველო წინადადებას.

ქრომატიზმი – კილოს დიატონური საფეხურების შეცვლა ნახევარტონით,

ჩონგური – ქართული სიმებიანი, საწკმეტი საკრავი.

ჭუნირი – ქართული ხალხური ხემიანი საკრავი, გავრცელებულია სვანეთში.

ხმა – 1) ბგერა, რომელსაც გამოსცემს ადამიანის იოგები; 2) ინსტრუმენტული ან ვოკალური ნაწარმოების მელოდიური ხაზი ან კონკრეტული ნაწარმოების ფაქტურის ნაწილი.

ჯაზი – მე-20 საუკუნის მუსიკალური სტილი, წარმოიშვა აშშ- ში; ჯაზის საფუძველს წარმოად-გენს ფერადკანიანთა ხალხური მუსიკალური შემოქმედების იმპროვიზაციული ფორმები.

Giocoso (ჯოკოზო) – მხიარული, კეკლუცი.

სანოტო დანართი

გ. ცაბაძე

ანა-ბანა




ო, რა ცე - ცხლი ბრი - ა - ლებს, ო, რა სით - ბო ტრი - ა - ლებს,
ა - ნა ბა - ნა, ა - ნა ბა - ნა, მა - ზამ შე - შა მო - გვი - ტა - ნა;
ჰეი!
სულ გა - ნათ - და ჩვე - ნი ბნე - ლი


ბი - ნა,
სუს - ხი ვე - ლარ შე - მო - გვი - ლებს


კარს,
ბუხ - რის პი - რას ჩა - მოვს - ხდე - ბით


ფბი - ლად
და ბანს ვე - ტყვით მო - გიზ - გი - ზე


ალს.
ა - ნა შა - ნა ა - ნა შა - ნა
მა - მამ შე - შა მო - ფვი - ტა - ნა;
ა - ნა შა - ნა ა - ნა შა - ნა,
ვის ყავს მა - მა ჩვე - ნის - თა - ნა!
რა - ლაც ჩვენც მო - ვა - ხერ - ხოთ,





ლ. იაშვილი

კომში, კომში, კომარა

ტექსტი: **ნ. ჩაჩავა**




f
კომ_ში კომ_ში, კო _ მა _
mf
რა, მო_მეც დი _ დი ტო _ მა _
რა, ბე_ბის მო _ ვეურ _ ბე _ ნი _ ხებ, ბე_ბი


f
ის მა - წყუ - ნი - ნებს.
გა- მო-ვი-ტანს ჩურ - ჩხე -
f
ლას,
ა - მო-დე-ნას იმ - ხე - ლას
თავს მო-ვუკ-რავ ტო - მა - რას,
კომ - ში, კომ - ში, კო - მა - რა.



2) ზურგზე წამოვიკიდებ,
ვითომ ძვირად ყიყიდე,
ღიღ გზას გამოვატარებ,
დაურიგებ პატარებს.
ბევრს შენ მოგცემ
და ბევრ სხვას
ბევრსაც მე დავიტოვებ
დიდ გზას გამოვატარებ,
დაურიგებ პატარებს,
დაურიგებ პატარებს.

ვ. გოკიელი

წითელქუდას სიმღერა




18
Allegretto
ნ.
ა
რა-ა-ა-ა ქუ-დი-ა, რა,-ა-ა-ა
ქუ-დი-ა რა-ა-ა-ა ქუ-დი-ა, სი-წითლით
19 Moderato
ყა-ა-ა-ყა-ჩოს შე-ჯიბ-რე-ბი-ა
rit.
mf
მა-ჩუ-ქეს და-ბა-დე-ბის
p


წ.
დღეს' სხვა სახ_სო _ ვა _ რი რა _
-ლა _ სჯობს მამ_ შვე_ნებს დი _ ლის ვარ _ დი-ვით
ფე _ რით სჯობს წი _ თელ ყა _ ყა _ ჩოს

ა. ბასილაია

ცისარტყელები

ტექსტი: **ა. გელოვანი**




პა - ტა - რა ქა - ლო, ჯერ ვი - თვა - ლა - ოთ,
ი - წი - ლო, ბი - წი - ლო.
მისამღერი
მთებს, თო - ვლი - ან მთებს, ვუ - მღე -


რებთ ლა - მაზ სი - მღე - რებს.
შორს გა - ვი - ვლით გზებს, მთა - ზე
და - გი - კრებთ ყვა - ვი - ლებს.

ს. ცინცაძე

სიმღერა შავ კატაზე

ტექსტი: **პ. გრუზინსკი**




ნი — ავ,
მი — აუ,
მი — აუ,
1. 2.
3.
rit.
ჩე — მო ფი — სუ — ნი — ავ.
ჩე — მო ფი — სუ — ნი — ავ.
Andante
მი — აუ!
gliss.
p
mp
morendo

ი. ბობოხიძე

ფიფქები

ლექსი: **გ. ჭიჭინაძე**




ფი - ფქე - ბი ცვი-ვა და ფი-ფქე - ბი მღე-რი -


ან, გა-მო - დით, გა-მო - დით, ნა-ძვე - ბი გე - ლი - ან.

გ. გორდეზიანი

რა დილა თენდება



„შინა ვორგილ“

სვანური



მზე შინა

მესხური



ინფორმაცია Linux პროგრამის შესახებ:
LMMS ანუ Linux MultiMedia Studio

პროგრამა LMMS საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ მოტივები, მოვახდინოთ ბგერების/ხმების სინთეზირება, გამოვიყენოთ ხმოვანი ნიმუშები. პროგრამას გააჩნია MIDI კლავიატურის მხარდაჭერა.

როდესაც მომხმარებელი უშვებს LMMS პროგრამას მონიტორის ეკრანზე, ის დაინახავს, აი, ასეთ გამოსახულებას:



პანელის ნაწილები (ელემენტები) დანომრილია. თითოეულ ელემენტს თავისი ფუნქცია აქვს:

- 🗁☞ მთავარი მენიუ გვაძლევს პროექტის ფაილებთან, დანამატებსა და ონლაინ-ცნობართან წვდომის საშუალებას;

- 🗎☞ ინსტრუმენტების პანელის მარცხენა ნაწილში ორი რიგია:

  ზედა რიგის ღილაკები დაკავშირებულია პროექტის ფაილებთან (შევქმნათ ახალი პროექტი, გავხსნათ არსებული, შევინახოთ მიმდინარე და გადავამისამართოთ ხმოვან ფაილში);

  ქვედა რიგის ღილაკების დანიშნულებაა ინტერფეისის ძირითად ნაწილში სხვადასხვა ფანჯრის ეკრანზე გამოტანა/დახურვა.

- 🗏☞ ინსტრუმენტების პანელის მარჯვენა ნაწილში წარმოდგენილია კომპოზიციის მართვის ზოგიერთი ინსტრუმენტი, მაგალითად: ტემპი, ტაქტის ზომა, ხმოვანების სიდიდე, ტონის სიმაღლე და ვიზუალიზაციის ძირითადი პანელი.

- 🗐☞ გვერდით პანელს გააჩნია ექვსი ღილაკი. ნებისმიერ მათგანზე ზემოქმედება იწვევს შესაბამისი ჩანართის ჩართვა/გამორთვის მდგომარეობაში გადაყვანას.

  თითოეული ჩანართი გამოსახავს გარკვეული ტიპის ინფორმაციას: Instrument plugins (ინსტრუმენტები), My projects (ჩემი პროექტები), My samples (ჩემი ნიმუშები), My presets (ჩემი რეგულირება), My home (ჩემი სახლი), My computer (ჩემი კომპიუტერი) – ყველაფერი, ზემოთ მოყვანილი, მომხმარებლის განკარგულებაშია კომპოზიციის შექმნისას.

როდესაც LMMS მონიტორზეა, იხსნება ოთხი ფანჯარა:

- Song-Editor (სიმღერის რედაქტორი) – აქ შესაძლებელია კომპოზიციის შექმნა.
- Beat+Bassline Editor (ნაბიჯების რედაქტორი) – აქ იქმნება დრამები (რიტმი).
- FX-Mixer (FX მიქშერი) – ხმოვანი მიქშერია, რომელშიც რეგულირდება ყოველი არხის ხმოვანება. მას გააჩნია დამატებითი ფანჯარა, რომლითაც შესაძლებელია სპეცეფექტების დამატება და მათი ურთიერთდაკავშირება.

პროგრამის გამოყენების ინსტრუქცია

მას შემდეგ, რაც ეკრანზე გამოჩნდება პროგრამა LMMS-ის პანელი, მარცხენა მხარეს დავაწკაპოთ ღილაკზე, რაც გამოაჩენს sempl-ების ჩამონათვალს. შევარჩევთ და ორჯერ დაწკაპებით პანელის მარცხენა კუთხეში სასურველი semple გამოჩნდება.

იმისათვის, რომ სასურველი sempl ჩავრთოთ, დავაჭიროთ ჩართვის ღილაკს №1. იქვეა გათიშვის ღილაკი №2.



ამ პანელზე მონიშნულია შემდეგი ღილაკები: ჩართვა (მარცხნიდან პირველი), გათიშვა (მარცხნიდან მეოთხე), ბითლაინის დამატება (მეხუთე).

იმისათვის, რომ არასასურველი SEMPLE წაიშალოს, იქვეა საშლელის ღილაკიც.

Project menu+import-ზე დაწკაპებით შესაძლებელია სხვა sempl-ის ჩასმა და მისი ხანგრძლივობის გაზრდაც.

იმისათვის, რომ გავზარდოთ სემპლის ხმოვანების ხანგრძლივობა, მარტივი მოძრაობის შესრულება მოგვიწევს – კურსორი ხელაუღებლად გავწიოთ.